ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 10 მაისი 2001 №84 (1357) | ფასი 50 თეთრი


# გლადიატორები

UEFA CHAMPIONS LEAGUE




REUTERS

ამ ზედახორაში ისევ და ისევ ჯოვანი ელბერმა იმარჯვა, ამჯერად თავით

**ჩემპიონთა ლიგა ნახევარფინალი მეორე მატჩი**

**ბაიერნი 2**
**რეალი 1**

23 მაისს იტალიაში სასწაული მოხდება: რომის კოლიზეუმს მილანისა შეემატება. ჩემპიონთა ლიგის ფინალში «სან სიროზე» თანამედროვე ფეხბურთის ორი დიდი სტრატეგოს-გლადიატორი ექტორ და ოტმარ შეებმება ერთმანეთს. კუპერი თუ ჰიცფელდი? «ვალენსია» თუ «ბაიერნი»?

## გუშინ გამარჯვების დღე იყო. განწითლებისაც ხომ არა?

**ოთხი წელი ელოდა საბჭოთა კავშირი ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებას**

ელოდა და მოესწრო. ამ გამარჯვების დღეს, 9 მაისს ახლაც აღნიშნავენ ჩვენში. რა შედარებაა, მაგრამ

**რვა წელიწადი ელოდა საქართველოს ნაკრები აზერბაიჯანთან გამარჯვებას**

და ჰა, გვეღირსა. ოღონდ, არ ვიცით,

**გააწითლებს თუ არა სფფ თავის კალენდარში გუშინდელ დღეს?**

იხილეთ მესამე გვერდი




ქართველებმა აზერბაიჯანელ მეკარე ჰასანზადეს ერთი და ისიც ძლივს გაუტანეს

## წუხელ ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. მეორე მატჩი

## ბაიერნი 2:1 რეალი (1:0)

მიუნხენი. «ოლიმპიაშტადიონი». 60 000 მაყურებელი

1:0 ელბერი (8), 1:1 ფიგუ (18), 2:1 იერემისი (34)

კანი, კუფური, ანდერსონი, ლინკე, სანიოლი, იერემისი (სფორცა 70), ჰარგრივსი ლიზარაზუ, შოლი (სანტა კრუზი 59), სალიჰამიჯი, ელბერი (ციკლერი 85)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

კასილიასი, სალგადო, კარანკა (მორიენტესი 66), იერო, რობერტო კარლოსი, ელგერა, მაკელელე, ფიგუ, მაკმანამანი (სავიო 61), რაული, გუტი
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

გაფრთხილება: იერემისი, სფორცა, ელგერა, გუტი

**მსაჯი: კიმ მილტონ ნილსენი (დანია)**



REUTERS მიუნხენიდან

იენს იერემისის მეორე გოლმა „ბაიერნი“ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაიყვანა





REUTERS მიუნხენიდან

ოტმარ ჰიცფელდს და ჯოვანი ელბერს ჩემპიონთა ლიგის მოგების შანსი მიეცათ, ვისენტე დელ ბოსკე კი შარშანდელ დიდებას გამოეთხოვა



REUTERS მიუნხენიდან

ფიგუ და „რეალი“ მიუნხენში წაიქცნენ

### გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
გადადებული მატჩები
ვალდჰოფი 5:0 ულმი
ალენი 4:1 ობერჰაუზენი

### ამხანაგური მატჩი

ესტონეთი 1:1 ფინეთი

### ავსტრია

თასის 1/2 ფინალი
რაპიდი 0:1 ტიროლი

### დანია

XXVII ტური
ლიუნგბიუ 1:1 ჰერფიოლგე

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

# კობა ჟორჟიკაშვილი: თქვენ სახე იხილეთ

**სამი დღის** წინ იყო, საქართველოს ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრებმა ამხანაგურ მატჩში შინ აზერბაიჯანელ თანატოლებს რომ მოუგო. როგორც უნდა იყოს, გავიმარჯვეთ, თანაც გუნდი პირველად წარსდგა ქართველი გულშემატკივრის წინაშე, მაგრამ...

ბევრი ისეთიც გამოჩნდა, გულარხეინობის საფუძველს ნაღდად რომ არ გვაძლევს და გუნდის მთავარ მწვრთნელ კობა ჟორჟიკაშვილსაც რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

**— ერთი თამაშით ძნელია დასკვნების გამოტანა, მაგრამ ფაქტია, რომ ნიჭიერი ჭაბუკები ვერ შევნიშნეთ ჩვენს გუნდში.**

— ერთ რამეში უნდა შევთანხმდეთ. ნიჭიერი იყო მარადონა, პელე, კრუიფი, ბეკენბაუერი... ჩვენი ჩვიდმეტწლამდელები კი კარგი მონაცემების ბიჭები არიან.

**— გასაგებია, მაგრამ თუ ახლანდელი ჩვენი ეროვნული ნაკრების ფეხბურთელების თამაშს გავიხსენებთ, როცა ისინი 16-17 წლისანი იყვნენ, დამეთანხმებით, უდავოდ უკეთესად ბურთაობდნენ და გაცილებით ნიჭიერებიც ეთქმოდათ.**

— მართალია, მაგრამ ისინი ძველი სისტემის პროდუქტები არიან, ის ძველი სისტემა კი მოიშალა. დაიარეთ ახლა ჩვენი საფეხბურთო სკოლები და იკითხეთ, ჰყავთ თუ არა მათ ამ ჭაბუკებზე უკეთესები. საქართველოს ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრებში ამ ასაკის საუკეთესო ფეხბურთელები არიან თავმოყრილნი.

**— როცა ამ პოსტზე მუშაობა გადაწყვიტეთ, მაშინ არ გქონდათ გათვითცნობიერებული, რომ მთელ რიგ სირთულეებს წააწყდებოდით?**

— მაშინ ყველა დახმარებას მპირდებოდა. თებერვალში, გერმანიაში გამგზავრებამდე სამი დღით ადრე შევიკრიბეთ და „ავაზაზე“ ვვარჯიშობდით. ბიჭებმა ღია ცის ქვეშ გალაიცვეს ფორმა, წყლის გუბეებიან მოედანზე. აზერბაიჯანელებთან მატჩისთვის, ფაქტობრივად, ორი დღით ადრე შევიკრიბეთ.

ერთი სიტყვით, სელექციას მოვრჩით და ახლა გუნდის ჩამოყალიბებას უნდა შევუდგე. შესარჩევ ციკლამდე რამდენიმე შეკრება და ამხანაგური თამაშიც ჩატარდება, ამის იმედი მაქვს. სფფ-სადმი ჩემი თხოვნა იყო, ნაკრების ფეხბურთელები ერთ გუნდად ჩამოგვეყალიბებინა და რომელიმე ტურნირში ეთამაშა, თუნდაც რეგიონალურ ლიგაში.

გუნდისგან და მწვრთნელისგან შედეგს რომ ვითხოვთ, სასურველია, მეტი პროფესიონალიზმი და უკეთესი პირობები იყოს.

**— ამაში, ალბათ, იმასაც გულისხმობთ, რომ ბავშვთა ფეხბურთში ბევრი შემთხვევითი პიროვნებაა დასაქმებული.**

— გეთანხმებით, ბავშვთა ფეხბურთში ბევრი არაპროფესიონალი მუშაობს. განა შეიძლება, 16 წლის ფეხბურთელმა ბურთთან ურთიერთობა არ იცოდეს? ზოგიერთი მწვრთნელი სულაც ასე მიხასიათებს ჭაბუკს — აი, ეს ბიჭი ჯიგრიანი და სწრაფია. მე კი ვეკითხები, თუ სწრაფია, მითხარი, რამდენ წამში გარბის 30 მეტრს, რაზეც ვერ მპასუხობენ. ჩავუტარე ასეთი ტესტი ნაკრების ფეხბურთელებს და საუკეთესო შედეგი 4,0 და 4,1 წამი აღმოჩნდა. ევროპული სტანდარტებით კი 3,9 წამი და მასზე ნაკლები უნდა იყოს.

დღევანდელი ქართული საფეხბურთო სკოლის სახე ისაა, რაც 7 მაისს, საქართველო — აზერბაიჯანის მატჩში იხილეთ.

**— თქვენ არაფრის შეცვლა შეგიძლიათ?**

— რაღაც-რაღაცეები უკვე გვიანაა, რაღაცეები — არა. მაგალითად, ფეხბურთელთა ტაქტიკურ-ფუნქციონალური მომზადება, ათლეტიზმის გაუმჯობესება. პირადული თვისებების ჩამოყალიბება, ტექნიკა, დრიბლინგი — ამის დრო უკვე წასულია.

ახლა კი შეიძლება რაღაც-რაღაცეების გაუმჯობესება, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ უდიდესი ძალისხმევის ფასად.

**დავით თავართქილაძე**

## 20 მაისს თბილისის ღია ჩემპიონატი კომპიუტერულ ფეხბურთში

ვიწვევთ ყველა მსურველს 20 მაისამდე სპორტის სასახლეში, სადაც გაიმართება მსურველების გაერთიანება ფედერაციაში. ისინი გადაიხდიან საწევრო 10 ლარს, გახდებიან რა ფედერაციის წევრები, მიიღებენ ფედერაციის მოწმობას და უფლებას, ჩაებან ჩემპიონატის შესარჩევ ტურში

### ჩემპიონატის პროგრამა




1. ჩემპიონატი ტარდება კომპიუტერულ ფეხბურთში SOCCER 2000-ში.
2. ორი ასაკობრივი კატეგორია 17 წლამდე და 17 წლის ზევით.
3. ჩემპიონატის შესარჩევი ტური ჩატარდება ოლიმპიური სისტემით, რომლის შემდეგ გამოვლინდება 16 უძლიერესი მოთამაშე, ხოლო მათ შორის გათამაშდება ჯგუფური ტურნირი.
4. გამოვლინდება ტურნირის ჩემპიონი, რომელიც დაჯილდოვდება ფულადი პრიზითა და სიგელით ჩემპიონის წოდებით. ასევე დაწესებულია მეორე და მესამე ადგილები, რომლებიც დაჯილდოვდებიან სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით.
5. დაწესდება საკვალიფიკაციო რეიტინგი I ჯოისტიკი, II ჯოისტიკი, III ჯოისტიკი და ა.შ. მე-16 ჯოისტიკი.
6. საასპარეზო გუნდის არჩევა თავისუფალია. ჩემპიონატში მონაწილეობის დროს მონაწილეს შეუძლია ითამაშოს საკუთარი ჯოისტიკით, რაზედაც მან წინასწარ უნდა განაცხადოს.
7. ჩემპიონატის სიგელით დაჯილდოვდება 32 მონაწილე, რომლებიც მომავალ საქართველოს ჩემპიონატში აღარ მიიღებენ მონაწილეობას შესარჩევ ტურში და პირდაპირ ფინალურ ეტაპზე ჩაერთვებიან ჩემპიონატში.
8. საპრიზო ფონდისა და მისი განაწილების შესახებ ცნობილი გახდება ჩემპიონატის დაწყების პირველივე დღეს.

ტურნირის საფინალო ეტაპის დღეს განზრახულია სარეკლამო დაფების განლაგება. რეკლამის მსურველ ორგანიზაციებსა და ფირმებს გთხოვთ მოგვმართოთ მისამართზე: ჭავჭავაძის №49 ა. სპორტის დეპარტამენტის შენობა IV სართული. საქართველოს კომპიუტერული თამაშების ეროვნული ფედერაცია. ტელ 23-56-93 8(99) 15 48 97

ასევე ფირმებს შეუძლიათ წაახალისონ ჩვენი მონაწილეები და გაზარდონ საპრიზო ფონდი ან დააწესონ ფასიანი საჩუქრები. მათი მოღვაწეობისა და დახმარების შედეგები გამოქვეყნდება პრესისა და ტელევიზიის საშუალებით.

აქვე მადლობას ვუხდით სპორტის დეპარტამენტსა და სპორტის სასახლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობას გაწეული დახმარებისა და თანამშრომლობისათვის.

**საქართველოს კომპიუტერული თამაშების ეროვნული ფედერაცია**



საქართველოს ნაკრების სასტარტო თერთმეტეული: გიორგი შაშიაშვილი (№3), გივი დიდავა (№7), ედიკ საჯაია (№8), მიხეილ აშვეთია (№10), ლევან სილაგაძე (№2), ირაკლი ზოიძე (№1), ვალერი აბრამიძე (№4), სევასტი თოდუა (№5), ლევან მელქაძე (№11), რევაზ ქემოკლიძე (№6), ზურაბ იონანიძე (№9).

# საქართველოს ტორპედო

## რვა ქუთაისელით, ორი ვიტელით, შაშიაშვილით და ორი უცნობით

ქუთაისი
9 მაისი
18 საათი
ტორპედო
12 000 (ტევადობა 19 432)

**საქართველო 1:0 აზერბაიჯანი**

1:0 იონანიძე (62)

**საქართველო:** ზოიძე (ხმელიძე 46), სილაგაძე, შაშიაშვილი (გოგობერიშვილი 54), აბრამიძე (ქანკოტაძე 46), თოდუა, ქემოკლიძე (გუჩუა 46), დიდავა, საჯაია (მახვილაძე 46), იონანიძე, აშვეთია (ლ. ნოზაძე 67), მელქაძე (ყიფიანი 46)

**აზერბაიჯანი:** ჰასანზადე, იადულაევი, იულუსოვი, იბრაგიმოვი (ქურიმოვი 7), რ. მამედოვი, ფ. მამედოვი (ს. ალიევი 68), მ. ყურბანოვი, ტაგიზადე, რზაევი (რახმანოვი 63), ორუჯევი, ისმაილოვი (რ. მუსაევი 80)

**გაფრთხილება:** ქემოკლიძე (22), ტაგიზადე (25), რ. მამედოვი (48), გუჩუა (87)

**მსაჯები:** მ. მალაღურაძე, გ. ჩიგოგიძე, ზ. დოლიძე, ლ. მიქელაძე (ყველა საქართველო)

**დელეგატი:** ა. მილჩენკო

ჯარიმა: 10:13; კუთხური: 4:0; კარში დარტყმა: 5:5; კარისკენ დარტყმა: 4:2; თამაშგარე: 5:2

**ოუზა კაციტაძე ქუთაისიდან**

**სტუმარ-მასპინძელი** „ტორპედოზე" ერთმანეთს შესუსტებული შემადგენლობით, ულეგიონერებოდ დაუპირისპირდნენ. ერთადერთი გამონაკლისი რუსულ „როსტსელმაშში" მოთამაშე ჩვენი მეკარე დავით ხმელიძე გახლდათ, რომელიც მეორე ტაიმში ირაკლი ზოიძის ნაცვლად ჩადგა კარში და თავის სადებიუტო მატჩში თავი ნამდვილად არ შეურცხვენია. პირიქით, ალბათ, მოაწონა კიდეც თავი „ტორპედოზე" მოსულ 12 ათას ქომაგს და გაცილებით მრავალრიცხოვან ტელეაუდიტორიასაც. დათომ ოთხჯერ იხსნა გუნდი გოლისგან, აქედან ორჯერ წამების განმავლობაში, როცა ზედიზედ მოიგერია ზაურ ტაგიზადეს და სამირ ალიევის დარტყმები და ეს უკვე მსაჯის მიერ დამატებულ დროში.

თამაში კი დუნედ დაიწყო და შესვენებამდეც ასე გაგრძელდა. ზედმეტად ფრთხილობდნენ, ერთმანეთს ზვერავდნენ თუ რა იყო, მეტოქეებმა საფეხბურთო ძილისპირული შემოგვთავაზეს. სამად-სამ ეპიზოდს თუ გავიხსენებთ მხოლოდ. მე-20 წუთზე თოდუამ გრძელი რეიდი მარცხენა ფლანგზე სტუმართა საჯარიმოში ჩაწოდებით დაასრულა, ამას ლევან მელქაძის ეფექტური შეუჩერებელი დარტყმა მოჰყვა, მაგრამ ნამეტანი არაზუსტი. 37-ე წუთზე ისმაილოვმა მარცხენა ფლანგიდან შეუტია და საჯარიმოსთან მიახლოებულმა ზუსტად უპასა ორუჯევს, რომელმაც უმალ გაისროლა კარისკენ, ოღონდ ხარიხას გადააცილა. წუთში ედიკ საჯაიამ შორიდან კინაღამ მოარტყა მიზანში. პირველ ტაიმში სულ ეს იყო.

მეორე ტაიმში თამაში პირველზე გაცილებით ცოცხლად წარიმართა. მასპინძლები მოედნის ცენტრში გააქტიურდნენ, დიდავასა და იონანიძის გარჯით უპირატესობასაც დაეუფლნენ, მაგრამ პირველი ხიფათი მეორე ნახევარში ქართველთა კართან შეიქმნა. 53-ე წუთზე ისმაილოვმა ხმელიძისათვის ბურთის თავზე გადაგდება სცადა, ოღონდ არ გამოუვიდა, დათომ კუთხურზე გადააგდო. ამის შემდეგ ორჯერ დიდავამ გაიწია სტუმართა კარისკენ, მაგრამ ჯერ სამ მოტყუებულ მცველს მეოთხე შეეშველა და გივი შუა საჯარიმოში შეაჩერეს. მეორედ კი დიდავამ დაბალ ნახტომში თავურით გაგზავნა კარისკენ, მაგრამ ჰასანზადემ იმარჯვა. აქედან ხუთ წუთში სტუმართა კარში გოლიც გავიდა. ჰასანზადე საჯარიმოში მარჯვნიდან ჩაწოდებულზე კი გამოვიდა, მაგრამ ჩვენებიც აუხტდნენ და ბურთის ხეირიანად მოგერიება ვერ მოახერხა, ახლოს გადმოვარდნილს კი იონანიძემ ზუსტად დაამატა.

### პრესკონფერენცია

*იგორ პონომარიოვი, აზერბაიჯანის მთავარი მწვრთნელი:*

— საერთო ჯამში ცუდად არ გვითამაშია, გუნდმა დავალება მეტნაკლებად შეასრულა. რამდენიმე საგოლე მომენტი შევქმენით, თუმც სამწუხაროდ, ვერ გამოვიყენეთ. ბიჭებმა ბევრი იმოძრავეს, მაგრამ უფრო მეტი იყო საჭირო.

არბიტრმა უსამართლო გოლი ჩათვალა. ასეთ მატჩებში ეს არ უნდა ხდებოდეს. მართალია, ჩვენი მეკარე არასწორად გამოვიდა ბურთზე, მაგრამ მას აშკარად უბიძგეს ხელი.

ჩემს გუნდში ამ შეცდომის მიუხედავად მეკარეს, იუნუსოვს, ფიზული მამედოვს და ტაგიზადეს გამოვარჩევ. ქართველთაგან, ჩემი აზრით, საუკეთესონი იონანიძე და დიდავა იყვნენ.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თბილისის „დინამოს" ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მოპოვების 20-წლისთავი მოგილოცოთ. წარმატებას ვუსურვებ საქართველოს ნაკრებსაც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში.

***რევაზ ძოძუაშვილი, საქართველოს ნაკრების მწვრთნელთაგანი:***

— ულეგიონერებოდ ვითამაშეთ. ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელებს თავის გამოჩენის საშუალება მივეცით, კარგი, ტექნიკური ფეხბურთი ვნახეთ. არ დაგიმალავთ, ამ ნაკრებიდან განსაკუთრებით ორი კაცის შემოწმება გვინდოდა, იმ ორისა, რომელთა იტალიასთან ძირითადში დაყენებას ვაპირებთ. მათ გვარებს ვერ დავასახელებ, ისე ნაკრებში თამაშის დიდი გამოცდილება არა აქვთ. დღეს ორივეს თამაშმა დაგვაკმაყოფილა.

მოხარული ვარ, რომ ხმელიძის თამაში ვნახე. კარგი მონაცემები აქვს. ვეცდებით საქართველოში გადმოვიბიროთ.

დიდავასთვის ადგილი არ შეგვიცვლია, ის თამაშის სტილს იცვლის.

გოგიჩაიშვილი - მელქაძის ტანდემის გამოცდა გვინდოდა, მაგრამ ბოლო მომენტში გვითხრეს, რომ ლოკომოტიველი ტრავმირებულია. ეს რომ ადრე შეგვეტყო, გოგიჩაიშვილის ნაცვლად ზირაქიშვილს ვუხმობდით.

ამბობთ, რომ ბურთი მსაჯის შეცდომით გავიდა. ანალოგიური შეცდომა დაუშვა მან ჩვენს კართანაც, მაგრამ არც იქ დაუნიშნავს ჯარიმა, არადა, შესაძლოა ამას გოლი მოჰყოლოდა.

# ახალგაზრდულ თამაში გერჩივნოს დღევანდელ შედეგს

ქუთაისი
9 მაისი
15 საათი
ტორპედო
8 000 (ტევადობა 19 432)

**საქართველო 2:1 აზერბაიჯანი**

19-წლამდელები

0:1 სადიხოვი (38 პ), 1:1 ქოქიაშვილი (70), 2:1 მანჭარაული (87)

**საქართველო:** ჭრიკიშვილი, ხარბედია, მამფორია, გუშარაშვილი, ციმაკურიძე (ლუჭაშვილი 46), ფეიქრიშვილი, ლომიძე, ქოქიაშვილი (კუპრეიშვილი 82), მჭედლიძე (ბუჯიაშვილი 30), მოდებაძე (მანჭარაული 73), ცერცვაძე (კოპალიანი 71)

სათადარიგო: ნადირაშვილი

**აზერბაიჯანი:** ალიევი (ზეინალოვი 88), აბდურახმანოვი, ნამაზოვი, სალიმოვი (კრიტელმანი 82), ასტანოვი (ნურმამედოვი 84), რ. სადიგოვი, სადიხოვი, შახბაზოვი (იუსუბოვი 67), ს. სადიგოვი (ფარხადოვი 71), ჰუსეინოვი, ფაშაევი (ადილოვი 60)

**გაფრთხილება:** ლომიძე (4), გუსეინოვი (12), ასტანოვი (37), მოდებაძე (65), რ. სადიგოვი (73), ლომიძე (89)

**მსაჯები:** ხ. მამედოვი (აზერბაიჯანი); კ. გაბრიაძე, ლ. მიქელაძე, ბ. კაკაჩიშვილი (სამივე საქართველო)

ჯარიმა 27:23; კუთხური 3:3; კარში დარტყმა 3:4; კარისკენ დარტყმა 1:3; თამაშგარე 6:16

**ოუზა კაციტაძე ქუთაისიდან**

**ამას** ნამდვილად არ ველოდით. აზერბაიჯანელმა 19-წლამდელებმა პირწმინდათ დაგვიჯაბნეს გელა გომელაურის შეგირდები. პირველ ტაიმს ვგულისხმობთ. გასაკვირად ორგანიზებული, აწყობილ-შეთამაშებული გუნდის შთაბეჭდილება დაგვრჩა სტუმრებზე და, პირიქით, ერთობ უნიათო, გაუწვრთნელი გუნდისა მასპინძლებზე.

ჩვენებურები შეცდომას შეცდომაზე უშვებდნენ, ბურთის მიღება-დამუშავებაში, გადაცემებში. მეტოქეს სისწრაფეში და სათამაშო აზროვნებაშიც ბევრად ჩამოუვარდებოდნენ.

მე-4 წუთი იყო, სტუმართა კაპიტანმა რაშიდ სადიხოვმა ძლიერად დაჰკრა შორიდან და, კიდევ კარგი, ჭრიკიშვილს ბურთი ხელებში მიუვიდა. მერე ჰუსეინოვი მარცხენა ფლანგზე იოლად დაუსხლტა ციმაკურიძეს და კარგადაც გადააწოდა შახბაზოვს, რომლის დარტყმულიც ჩვენმა მეკარემ ხარიხის ქვეშიდან კუთხურზე გადააგდო. ხუთი წუთიც და ჩვენებმა საკუთარ საჯარიმოში თითქოს განზრახ წააქციეს საბუხი სადიგოვი. დაგვინდო ბაქოელმა არბიტრმა, 11-მეტრიანით არ დაგვსაჯა.

სტუმრები თავისას არ იშლიდნენ, ყოველი მხრიდან უტევდნენ მეტოქეს. ერთიღა, რაშიც მასპინძლები ვარგოდნენ, ხელოვნური თამაშგარისას და ამ ხერხით იცილებდნენ საფრთხეს. კარგა ხანს გაძლო ასე ქართველთა დაცვამ, მაგრამ სამართალმა პური მაინც ჭამა. 38-ე წუთზე ნიკა გუშარაშვილმა ვერაფერი გააწყო საჯარიმოში შეჭრილ სტუმართაგან მართლაც რომ საუკეთესო რომალ ჰუსეინოვთან და პენალტიც მოინადირა. სადიხოვმაც აუღებელი დაურტყა ჭრიკიშვილს.

შესვენებამდე ალარაფერი რჩებოდა, როდესაც ჩვენებმა პირველად შექმნეს ხიფათი სტუმართა კართან. გუშარაშვილმა მოიწადინა დანაშაულის გამოსყიდვა. ნიკამ კუთხურიდან ჩაწოდებულს ძლიერი თავური შეაგება, ოღონდ მიზანში ვერ მოახვედრა.

კაცმა რომ თქვას, მეორე ტაიმის საწყის წუთებშიც სტუმრები ბატონობდნენ მოედანზე. ბევრი მცდელობის მიუხედავად ჩვენს ჭაბუკებს შეტევაში არაფერი გამოსდიოდათ. მარტო მოდებაძე და ლუჭაშვილი მცველებს ვერ უმკლავდებოდნენ. ვერ გეტყვით, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, 70-ე წუთზე სტუმრებს საკუთარი საჯარიმოდან 7-8 მეტრით რომ არ ეუხეშათ. ხაგანი მამედოვმა ლუჭაშვილის წაქცევისთვის დააჯარიმა თანამემამულენი და... ასე შორიდან დავით ქოქიაშვილის მიერ მეკარისაგან მარცხენა დაბალ კუთხეში დარტყმულმა ბადეში ამოჰყო თავი და ანგარიშიც გათანაბრდა.

ამის შემდეგ გელა გომელაურმა სამი შეცვლა გააკეთა. „სისხლის გადასხმამაც" დადებითად იმოქმედა. ჩვენები უფრო გააქტიურდნენ, სტუმრებს, კი პირიქით, დაღლილობა დაეტყოთ და 1:1-ის შენარჩუნებაზე დაიწყეს ზრუნვა. საქმე მართლაც ფრისკენ მიდიოდა, ოღონდ, საფინალომდე სამი წუთით ადრე მანჭარაულმა იმარჯვა. დაახლოებით ათი მეტრიდან მარცხენათი ახლო მაღალ კუთხეში დაარტყა და სალიკ ალიევიც უძლური აღმოჩნდა. დამატებულ დროში ლუჭაშვილს მესამეს გატანის შანსი მიეცა, ოღონდ მისი თავურით დარტყმული ალიევის შემცვლელ ზეინალოვის ხელიდან ძლის გაეხახუნა და კუთხურზე გადავარდა.



ახალგაზრდები არიან, მოიგეს და უხარიათ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გახოკიძემ ენა ამოიდგა, ფეხი აიდგა და ჩემპიონიც გახდა

## ეინდჰოვენში ოქრო და შამპანური არ ენანებათ



გოგა გახოკიძე

*მეორე ქართველიც გახდა ჰოლანდიის ჩემპიონი. აიაქსელი შოთა არველაძის შემდეგ ჰოლანდიური ოქრო ახლა პსვ-ს გოგა გახოკიძესაც ერგო.*

*მართალია, პსვ შარშანაც გახდა ქვეყნის ჩემპიონი, მაგრამ მაშინ ჩვენებური ნახევარმცველი ჰოლანდიელებს ისრაელში ჰყავდათ განათხოვრებული და ამ სეზონის დაწყებამდელა დაიბრუნეს. გოგა ძირითად გუნდთთან ერთად კი ვარჯიშობდა, მაგრამ თამაში სარეზერვოში უწევდა. ასე იყო ჰოლანდიის ჩემპიონატის პირველი წრის განმავლობაში. მწვრთნელი ერიკ გერეტსი ქართველს ძირითად შემადგენლობას არ აკარებდა, ენის სწავლას სთხოვდა. გაზაფხულიდან კი გოგა გახოკიძემ ენაც გაიტეხა, მწვრთნელმა ძირითად შემადგენლობასაც გაუშინაურა და ჩემპიონატის რამდენიმე მატჩშიც ათამაშა.*

*გერეტსს გული მოულბა, გუნდიდან არ წახვიდეო, უთხრა გოგას და ერთი-ორი თბილი სიტყვაც არ დაიშურა. არადა, ჩვენებური ზამთარში პსვ-ის დატოვებას აპირებდა. მოკლედ, გახოკიძემ, რომელსაც თავის დროზე არც ბობი რობსონი ენდობოდა, ეტყობა, პრობლემები უკან მოიტოვა და წინა უქმეებზე, ჩემპიონატის დამთავრებამდე სამი ტურით ადრე, ჰოლანდიის ჩემპიონობით მანაც გაიხარა.*

— ენა ვერ იტყვის, რაც ეინდჰოვენში ხდება, ორი დღეა, ქალაქში თითქმის არავინ მუშაობს, ყველა ზეიმობს, პსვ-ს ჩემპიონობით ხარობს — გვითხრა გოგა გახოკიძემ, როცა ეინდჰოვენში შევეხმიანეთ — მთელი ქალაქი ქუჩაშია. მე კი, პსვ-ს რომ ულხინდა, მაშინ თამაში ვამჯობინე, გერეტსს ვთხოვე, სარეზერვო გუნდში ვეთამაშებინე. „გრააფსხაპს" გავეჯიბრეთ და 5:0 მოვუგეთ. სამი გოლი მე გავიტანე.

**— პსვ-ს დატოვებას აღარ ფიქრობ?**

— ვერ გადამიწყვეტია. აგენტი კი მეუბნება, რამდენიმე გუნდი გეპატიჟებაო, მაგრამ გერეტსი მაკავებს. ამ დღეებში მწვრთნელს ჩემი აგენტი შეხვდება და ყველაფერი გაირკვევა. თუმცა არა მგონია, გერეტსმა გამიშვას, მით უმეტეს, გუნდს კიდევ ორი წლით ვეკუთვნი.

**— ჩემპიონატის დარჩენილი მატჩები პსვ-სთვის აღარაფერს წყვეტს და, ალბათ, სასტარტო შემადგენლობაშიც გათამაშებენ.**

— ვერ გეტყვით, ამის თაობაზე გერეტსს არაფერი უთქვამს, თუმცა ჩემს მიმართ ამ ბოლო დროს საკმაოდ კეთილგანწყობილია. ვიცი, ერთხელ ისიც თქვა, გახოკიძემ ასე თუ გააგრძელა, მომავალ სეზონში ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი იქნებაო. ვნახოთ, მეც ამის იმედი მაქვს.

**— ჰოლანდიური თუ ისწავლე?**

— უკვე ნორმალურად ვლაპარაკობ, მაგრამ მასწავლებელთან მაინც დავდივარ. გერეტსი რომ ჩემკენ მობრუნდა, ამისი ერთ-ერთი მიზეზი ესეც არის.

**— პსვ-ში ერთი-ორი მატჩი ჩაატარე და საქართველოს ნაკრებშიც გამოგიძახეს. ისრაელთან შენი თამაშით კმაყოფილი ხარ?**

— ისე რა. მეტი შემიძლია, თუმცა მგონია, რომ ნაკრების მწვრთნელები ჩემი თამაშით უკმაყოფილონი მაინც არ დარჩენილან.

**— როგორ გგონია, იტალიასთან მატჩისთვის გამოგიძახებენ?**

— ძალიან კი მსურს, მაგრამ რა ვიცი, ძოძუაშვილი და ყიფიანი რას ფიქრობენ. მართლებიც იყვნენ, ადრე რომ არ მიწვევდნენ, უთამაშებელი ვიყავი. ახლა კი ვგრძნობ, ნორმალურ ფორმაში ვარ. კარგი იქნება თუ გამომიძახეს.

**— თუ არ მიგიწვიეს?**

— მაშინ მექსიკაში წავალ. ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ მთელი გუნდი, ოჯახებთან ერთად, ერთი კვირით დასასვენებლად მექსიკაში მივდივართ. მერე 7 ივლისამდე შვებულება გვაქვს და თბილისშიც, ალბათ, მაშინ ჩამოვალ.

**ძოზა ინასარიძე**



31 მარტის „მერანი" — „ლოკომოტივი": მერანელი ზაზა კვეკვესკირი (მარცხნივ) და ლოკომოტიველი დავით ჰიჭვეიშვილი დაშავებულ მამუკა რუსიას შველიან

# მორჩენილა: გოგიჩაიშვილი და რუსიასთვის სეზონი

**ჯერაც** ჩემპიონობის მაძიებელ და თასისთვის მებრძოლ თბილისურ „ლოკომოტივს" ტრავმირებულები მოუმრავლდა. გუნდის ჩავარდნა სხვა მიზეზებთან ერთად გარკვეულწილად ამის ბრალიცაა.

უკვე რა ხანია, რკინიგზელებს სწრაფი ფორვარდი მამუკა რუსია ვერ ეხმარება. მან ერთი თვის წინ მარჯვენა მუხლი დაიზიანა. აქამდე ექიმებს იმედი ჰქონდათ, რომ ფეხბურთელს ოდენ მკურნალობით დააყენებდნენ ფეხზე, მაგრამ ორიოდ დღის წინ გადაწყდა: რუსია საოპერაციოა! ცხადია, მამუკასთვის სეზონი ნაადრევად დამთავრდა, მაგრამ კლუბში იმასაც ამბობენ, ფორვარდს მომავალი ჩემპიონატის მოსამზადებელი პერიოდიც გაუცდებაო.

„ლოკომოტივის" მეორე ტრავმირებული, გუნდის კაპიტანი კახა გოგიჩაიშვილი იყო. მან „კოლხეთთან" მეშვიდე ტურის მატჩიც გამოტოვა და ვერც საქართველო — აზერბაიჯანის გუშინდელ შეხვედრაში ითამაშა.

რუსიასგან განსხვავებით, გოგიჩაიშვილის ტრავმა სერიოზული არ გამოდგა. როგორც რკინიგზული კლუბის წარმომადგენლებმა გვითხრეს, კახამ გუშინ მსუბუქად ივარჯიშა და „ვიტ ჯორჯიასთან" მერვე ტურის მატჩში, ალბათ, ითამაშებს.

**დათო დანელია**

# აბრეზას ამბავი

## გრიპმა თირკმელი გააბრაზა

**ერთ** დროს მერანელთა სახელდაგდებული მეგოლე სულიკო დავითაშვილი თბილისის „ლოკომოტივიდან" ბოლნისის „სიონში" საგაზაფხულო ეტაპისთვის გადავიდა. კარგად ირჯებოდა „აბრეზა" ქვემოქართლელთა გუნდში, გოლებიც გაიტანა და „სიონის" ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეც შეიქნა, მაგრამ ბოლო ორ ტურში მის გვარს ვერც სათადარიგოთა შორის ამოიკითხავდით.

ბოლნისელთა მარცხენა გარემარბი დაახლოებით ორიოდე კვირის წინ ავად გახდა — გაცივდა და სიცხემ აუწია. ნაავადმყოფარს ვარჯიში უნდა განეახლებინა, მაგრამ წელი საშინლად ასტკივდა. ექიმთა დიაგნოზით, გრიპს თირკმელებზე ერთობ უარყოფითად უმოქმედია და ტკივილიც ამას გამოუწვევია.

ფეხბურთელს ახლა წოლითი რეჟიმი და ნემსები აქვს დანიშნული. ერთი კვირა კიდევ უნდა მოიცადოო, მანამდე ვარჯიში კი არა, წვეთი ოფლის მოდენაც გავნებს და დანარჩენი მერე ვნახოთო, უთქვამს დასტაქარს დავითაშვილისთვის.

ასე რომ, „აბრეზა" ვერც მომდევნო ტურში შეეშველება სტუმრად „ბათუმთან" შეყრილ „სიონს".

**დავით თავართქილაძე**



ეინდჰოვენში საჩემპიონო ლხინი




☎ (231) 7 17 58

იყიდება

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

ქუთაისში

ირაკლი აბაშიძის ქუჩაზე №.. „სულიკოსთან"

# საქართველოს ეროვნული გუნდის

## ყველა მატჩი, ყველა მოთამაშე

27.05.90 ამ საქართველო 2:2 ლიტვა
გურული, კაჭარავა
02.07.91 ამ მოლდოვა 2:4 საქართველო
ქეცბაია, დარასელია, მ. ჯიშკარიანი, ყაველაშვილი
02.09.92 ამ ლიტვა 1:0 საქართველო
17.09.92 ამ საქართველო 6:3 აზერბაიჯანი
ყიზილაშვილი 2, გ. დარასელია, შ. არველაძე, გოგიჩაიშვილი, გ. ჯიშკარიანი
22.12.92 ამ კვიპროსი 1:0 საქართველო
25.05.93 ამ აზერბაიჯანი 1:0 საქართველო
08.02.94 მტ სლოვენია 1:0 საქართველო
10.02.94 მტ მალტა 0:1 საქართველო
ქეცბაია
12.02.94 მტ ტუნისი 0:2 საქართველო
ყაველაშვილი, კუდინოვი
23.02.94 ამ ისრაელი 2:0 საქართველო
11.06.94 ამ ნიგერია 5:1 საქართველო
რ. არველაძე
26.06.94 ამ ლატვია 1:3 საქართველო
დ. ჯანაშია, კაჭარავა, ჯამარაული
19.07.94 ამ საქართველო 1:1 მალტა
შ. არველაძე
07.09.94 ეჩშ საქართველო 0:1 მოლდოვა
12.10.94 ეჩშ ბულგარეთი 2:0 საქართველო
16.11.94 ეჩშ საქართველო 5:0 უელსი
ქეცბაია 2, ქინქლაძე, შ. არველაძე, გოგრიჭიანი
14.12.94 ეჩშ ალბანეთი 0:1 საქართველო
შ. არველაძე
29.03.95 ეჩშ საქართველო 0:2 გერმანია
26.04.95 ეჩშ საქართველო 2:0 ალბანეთი
შ. არველაძე, ქეცბაია
07.06.95 ეჩშ უელსი 0:1 საქართველო
ქინქლაძე
06.09.95 ეჩშ გერმანია 4:1 საქართველო
ქეცბაია
11.10.95 ეჩშ საქართველო 2:1 ბულგარეთი
შ. არველაძე, ქინქლაძე
15.11.95 ეჩშ მოლდოვა 3:2 საქართველო
დ. ჯანაშია, კულიბაბა (ა.გ.)
27.03.96 ამ კვიპროსი 0:2 საქართველო
ქეცბაია, ჯამარაული
24.04.96 ამ რუმინეთი 5:0 საქართველო
08.05.96 ამ საბერძნეთი 2:1 საქართველო
გოგრიჭიანი
01.09.96 ამ ნორვეგია 1:0 საქართველო
09.10.96 მჩშ იტალია 1:0 საქართველო
09.11.96 მჩშ საქართველო 0:2 ინგლისი
05.12.96 ამ ლიბანი 4:2 საქართველო
იაშვილი, კიკნაძე
08.12.96 ამ ლიბანი 3:2 საქართველო
გახოკიძე, ცქიტიშვილი
30.03.97 ამ საქართველო 7:0 სომხეთი
შ. არველაძე 3, ა. არველაძე 2, ქინქლაძე, ყაველაშვილი
30.04.97 მჩშ ინგლისი 2:0 საქართველო
07.06.97 მჩშ საქართველო 2:0 მოლდოვა
შ. არველაძე, ქინქლაძე
14.06.97 მჩშ პოლონეთი 4:1 საქართველო
შ. არველაძე
10.09.97 მჩშ საქართველო 0:0 იტალია
24.09.97 მჩშ მოლდოვა 0:1 საქართველო
ქეცბაია
11.10.97 მჩშ საქართველო 3:0 პოლონეთი
ა. არველაძე, ცხადაძე, ქეცბაია
06.02.98 მტ საქართველო 2:1 ლატვია
ჯამარაული 2
08.02.98 მტ საქართველო 3:0 ალბანეთი
ქეცბაია, ყაველაშვილი, იაშვილი
10.02.98 მტ საქართველო 3:1 მალტა
ყაველაშვილი 2, ჯამარაული
02.05.98 ამ ტუნისი 1:1 საქართველო
ქინქლაძე
30.05.98 ამ საქართველო 1:1 რუსეთი
ზ. ჯანაშია
12.08.98 ამ აზერბაიჯანი 1:0 საქართველო
19.08.98 ამ უკრაინა 4:0 საქართველო
05.09.98 ეჩშ საქართველო 1:0 ალბანეთი
ა. არველაძე
10.10.98 ეჩშ ლატვია 1:0 საქართველო
14.10.98 ეჩშ საბერძნეთი 3:0 საქართველო
18.11.98 ამ საქართველო 3:1 ესტონეთი
აშვეთია 2, დ. ჯანაშია
20.03.99 ამ საქართველო 0:1 უკრაინა
27.03.99 ეჩშ საქართველო 1:1 სლოვენია
ზ. ჯანაშია
28.04.99 ეჩშ საქართველო 1:4 ნორვეგია
ზ. ჯანაშია
30.05.99 ეჩშ ნორვეგია 1:0 საქართველო
05.06.99 ეჩშ საქართველო 1:2 საბერძნეთი
ქეცბაია
04.09.99 ეჩშ სლოვენია 2:1 საქართველო
შ. არველაძე
08.09.99 ეჩშ საქართველო 2:2 ლატვია
შ. არველაძე, ყაველაშვილი
09.10.99 ეჩშ ალბანეთი 2:1 საქართველო
შ. არველაძე
02.02.00 კტ სლოვაკეთი 0:2 საქართველო
ქეცბაია, ყაველაშვილი
04.02.00 კტ რუმინეთი 1:1 (4:2პ) საქართველო
ქეცბაია
06.02.00 კტ საქართველო 2:1 სომხეთი
ზ. ჯანაშია, მენთეშაშვილი
28.03.00 ამ ისრაელი 1:1 საქართველო
ქინქლაძე
26.04.00 ამ სომხეთი 0:0 საქართველო
04.06.00 ამ აზერბაიჯანი 0:0 საქართველო
11.06.00 ამ ესტონეთი 1:0 საქართველო
16.08.00 ამ ირანი 2:1 საქართველო
ყაველაშვილი
07.10.00 მჩშ ლიტვა 0:4 საქართველო
ქეცბაია 2, ქინქლაძე, ა. არველაძე
11.10.00 მჩშ იტალია 2:0 საქართველო
14.02.01 ამ საქართველო 0:0 უკრაინა
28.03.01 მჩშ საქართველო 0:2 რუმინეთი
24.04.01 ამ საქართველო 3:2 ისრაელი
ქეცბაია 2, ა. არველაძე
09.05.01 ამ საქართველო 1:0 აზერბაიჯანი
იონანიძე

**სულ: 71 თამაში, 25 მოგება, 12 ფრე, 34 წაგება, ბურთები 91:97**

ამ - ამხანაგური მატჩი, ეჩშ - ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი, მჩშ - მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი, მტ, კტ - მალტის, კვიპროსის ტურნირი

| სახელი გვარი | ამპლუა | დაბადების თარიღი | კლუბი | ამხანაგური მატჩი | გოლი | გაფრთხილება | გაძევება | ევრო 96-ის მატჩი | გოლი | გაფრთხილება | გაძევება | მსოფლიო 98-ის მატჩი | გოლი | გაფრთხილება | გაძევება | ევრო 2000-ის მატჩი | გოლი | გაფრთხილება | გაძევება | მსოფლიო 2002 | გოლი | გაფრთხილება | გაძევება | თამაში | გოლი | გაფრთხილება | გაძევება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გიორგი ნემსაძე | ნ | 10.05.72 | დანდი (შოტლანდია) | 30 | 0 | 4 | 0 | 5 | 0 | 2 | 0 | 7 | 0 | 3 | 0 | 9 | 0 | 3 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 54 | 0 | 12 | 0 |
| გოჩა ჯამარაული | ნ | 23.07.71 | ციურიხი (შვეიცარია) | 24 | 5 | 2 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 9 | 0 | 1 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 47 | 5 | 3 | 0 |
| თემურ ქეცბაია | ნ | 18.03.68 | ვულვერჰემპტონი (ინგლისი) | 23 | 8 | 4 | 0 | 7 | 4 | 1 | 0 | 8 | 2 | 0 | 0 | 6 | 1 | 1 | 0 | 3 | 2 | 0 | 0 | 47 | 17 | 6 | 0 |
| გიორგი ქინქლაძე | ნ | 06.07.76 | დერბი ქაუნთი (ინგლისი) | 18 | 3 | 0 | 0 | 9 | 3 | 1 | 0 | 7 | 1 | 1 | 1 | 4 | 0 | 0 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 | 41 | 8 | 2 | 1 |
| მიხეილ ყაველაშვილი | თ | 22.07.71 | ციურიხი (შვეიცარია) | 20 | 6 | 4 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 1 | 1 | 6 | 1 | 2 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 39 | 9 | 7 | 1 |
| შოთა არველაძე | თ | 22.02.73 | აიაქსი (ჰოლანდია) | 16 | 5 | 0 | 0 | 10 | 4 | 0 | 0 | 6 | 2 | 0 | 0 | 5 | 3 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 38 | 14 | 0 | 0 |
| ლევან კობიაშვილი | მ | 10.07.77 | ფრაიბურგი (გერმანია) | 14 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 1 | 0 | 9 | 0 | 1 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 31 | 0 | 3 | 0 |
| არჩილ არველაძე | თ | 22.02.73 | კიოლნი (გერმანია) | 14 | 3 | 1 | 0 | 4 | 0 | 0 | 0 | 6 | 1 | 0 | 0 | 4 | 1 | 0 | 0 | 2 | 1 | 1 | 0 | 30 | 6 | 2 | 0 |
| მურთაზ შელია | მ | 25.03.69 | ლოკომოტივი | 13 | 0 | 4 | 0 | 9 | 0 | 2 | 0 | 6 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 29 | 0 | 7 | 0 |
| კახა გოგიჩაიშვილი | ნ | 31.10.68 | ლოკომოტივი | 12 | 1 | 1 | 0 | 9 | 0 | 1 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 27 | 1 | 2 | 0 |
| კახა კალაძე | მ | 22.02.78 | მილანი (იტალია) | 11 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 1 | 9 | 0 | 3 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 26 | 0 | 4 | 1 |
| კახა ცხადაძე | მ | 07.09.68 | ლოკომოტივი | 13 | 0 | 3 | 0 | 5 | 0 | 2 | 0 | 7 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 25 | 1 | 5 | 0 |
| გიორგი ჩიხრაძე | მ | 01.10.67 | ჰაპოელი (ბეით შანი, ისრაელი) | 10 | 0 | 1 | 0 | 9 | 0 | 2 | 1 | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 24 | 0 | 4 | 1 |
| დიმიტრი კუდინოვი | მ | 08.02.63 | თამაში მიატოვა | 12 | 1 | 2 | 0 | 7 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 20 | 1 | 4 | 0 |
| ლევან სილაგაძე | მ | 04.08.76 | ტორპედო | 16 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 20 | 0 | 3 | 0 |
| გელა შეყილაძე | მ | 14.09.70 | ლიერსი (ბელგია) | 10 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 | 6 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 19 | 0 | 3 | 0 |
| დავით გვარამაძე | მკ | 08.11.75 | ტორპედო | 10 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 19 | 0 | 0 | 0 |
| ლევან ცქიტიშვილი | მ | 10.10.76 | ფრაიბურგი (გერმანია) | 10 | 1 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 17 | 1 | 2 | 0 |
| ირაკლი ზოიძე | მკ | 21.03.69 | ტორპედო | 9 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 17 | 0 | 0 | 0 |
| აკაკი დევაძე | მკ | 28.11.71 | მერანი | 8 | 0 | 0 | 0 | 7 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 15 | 0 | 1 | 0 |
| გიორგი დემეტრაძე | თ | 26.09.76 | რეალ სოსიედადი (ესპანეთი) | 8 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 15 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი გახოკიძე | ნ | 09.11.77 | პსვ (ეინდჰოვენი, ჰოლანდია) | 8 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 14 | 1 | 2 | 0 |
| ნუგზარ ლობჟანიძე | მ | 07.09.71 | თამაში მიატოვა | 6 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 13 | 0 | 4 | 0 |
| გივი დიდავა | მ | 26.03.76 | ტორპედო | 7 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 13 | 0 | 2 | 0 |
| რევაზ არველაძე | ნ | 15.09.69 | თამაში მიატოვა | 9 | 1 | 1 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12 | 1 | 1 | 0 |
| ზაზა რევიშვილი | მ | 23.09.68 | თამაში მიატოვა | 7 | 0 | 1 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 12 | 0 | 1 | 0 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | მ | 06.10.81 | დანდი (შოტლანდია) | 8 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 12 | 0 | 0 | 0 |
| ნიკოლოზ ტოგონიძე | მკ | 26.04.71 | ტორპედო | 6 | 9 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 2 | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 11 | 13 | 0 | 0 |
| დავით ჯანაშია | თ | 07.08.72 | ტორპედო | 8 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10 | 3 | 2 | 0 |
| გიორგი კიკნაძე | ნ | 26.04.76 | ფრაიბურგი | 5 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10 | 1 | 1 | 0 |
| ველა ინალიშვილი | ნ | 03.10.66 | თამაში მიატოვა | 4 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10 | 0 | 0 | 0 |
| თენგიზ სიჭინავა | ნ | 15.05.72 | კრისტალი (რუსეთი) | 8 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10 | 0 | 1 | 0 |
| იოსებ გრიშიკაშვილი | მკ | 21.12.72 | დინამო | 9 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10 | 0 | 0 | 0 |
| ზაზა ჯანაშია | თ | 10.02.76 | ლოკომოტივი (მოსკოვი, რუსეთი) | 4 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 3 | 2 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 9 | 4 | 2 | 1 |
| ალექსანდრე იაშვილი | თ | 23.10.77 | ფრაიბურგი (გერმანია) | 7 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 9 | 2 | 1 | 0 |
| გოჩა გოგრიჭიანი | თ | 12.08.64 | ორიოლი (რუსეთი) | 3 | 1 | 1 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 9 | 2 | 1 | 0 |
| გიორგი დარასელია | ნ | 17.09.68 | ჰაპოელი (ქფარ სავა, ისრაელი) | 7 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 9 | 2 | 0 | 0 |
| დავით ყიზილაშვილი | თ | 12.12.70 | თამაში მიატოვა | 8 | 2 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 9 | 2 | 0 | 0 |
| გია ჯიშკარიანი | ნ | 30.11.67 | თამაში მიატოვა | 9 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 9 | 1 | 1 | 0 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | ნ | 30.01.80 | სკონტო (ლატვია) | 7 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 9 | 1 | 0 | 0 |
| მამუკა წერეთელი | მ | 17.01.79 | უგუნდო | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 9 | 0 | 2 | 1 |
| რატი ალექსიძე | თ | 08.09.78 | ჩელსი (ინგლისი) | 7 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 9 | 0 | 1 | 0 |
| ბესიკ ბერაძე | მ | 20.02.68 | სამგურალი | 5 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 8 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი ლუღუშაური | ნ | 18.02.73 | უგუნდო | 4 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 8 | 0 | 0 | 0 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | ნ | 06.08.74 | სკონტო (ლატვია) | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 8 | 0 | 0 | 0 |
| მიხეილ აშვეთია | თ | 10.11.77 | ტორპედო | 5 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 7 | 2 | 0 | 0 |
| რევაზ ქემოკლიძე | მ | 13.03.79 | ტორპედო | 7 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 7 | 0 | 3 | 0 |
| კახა სიდამონიძე | მ | 17.04.71 | სიონი | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 |
| სევასტი თოდუა | მ | 13.05.76 | ტორპედო | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 |
| ვალტერ გუჩუა | მ | 06.07.75 | ტორპედო | 3 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 2 | 0 |
| გია გურული | თ | 20.05.64 | თამაში მიატოვა | 2 | 1 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 1 | 1 | 0 |
| დავით ცომაია | ნ | 04.09.67 | უგუნდო | 4 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 1 | 0 |
| ზურაბ ფოფხაძე | მ | 02.06.72 | ალანია (რუსეთი) | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 1 | 0 |
| გიორგი კილასონია | ნ | 09.09.68 | თურანი (თაუზი, აზერბაიჯანი) | 1 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 0 | 0 |
| მიხეილ ფოცხვერია | თ | 12.08.75 | მერანი | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 0 | 0 |
| კახა კაჭარავა | თ | 19.09.66 | თამაში მიატოვა | 3 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 2 | 0 | 0 |
| მიხეილ ჯიშკარიანი | თ | 01.11.69 | უგუნდო | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 |
| ზურაბ იონანიძე | თ | 02.12.71 | ტორპედო | 3 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 |
| მამუკა მაჭავარიანი | მ | 27.11.70 | უგუნდო | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| ვასილ სეფაშვილი | თ | 17.02.69 | ჟენისი (ასტანა, ყაზახეთი) | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| თემურ ტუღუში | თ | 24.02.72 | ბათუმი | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| ზვიად ჯელაძე | მ | 16.12.73 | კრისტალი (რუსეთი) | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| მელორ ბიგვავა | თ | 17.01.63 | აისბახტალი (გერმანია) | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| დავით ჭიჭველიშვილი | ნ | 23.01.75 | ლოკომოტივი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 |
| გია ჩხაიძე | მ | 23.02.70 | მერანი | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 |
| გიორგი ბალაშვილი | მ | 07.08.73 | ლოკომოტივი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 |
| დავით ჩალაძე | თ | 22.01.76 | სკონტო (ლატვია) | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი ჭანკოტაძე | მ | 04.10.77 | ვიტ ჯორჯია | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| გია ფირცხალავა | მ | 03.01.65 | თამაში მიატოვა | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| მერაბ ძოძუაშვილი | თ | 04.11.80 | ერზურუმსპორი (თურქეთი) | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| კახა კვეტენაძე | ნ | 03.06.70 | ტორპედო | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| ვაჟა თარხნიშვილი | მ | 26.08.71 | შერიფი (მოლდოვა) | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| შალვა ხუჯაძე | მ | 05.10.75 | მერანი | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| გივი კვარაცხელია | მ | 11.05.79 | სკონტო (ლატვია) | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| დავით ჯანელიძე | მკ | 09.02.73 | უგუნდო | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი ყიფიანი | ნ | 12.08.78 | ვიტ ჯორჯია | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| ვალერი აბრამიძე | მ | 17.01.80 | ტორპედო | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| ლევან მელქაძე | თ | 12.12.79 | ვიტ ჯორჯია | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| ბადრი ახვლედიანი | მ | 19.10.70 | ტორპედო | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 |
| გიორგი ლომაია | მკ | 08.08.79 | ლოკომოტივი | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| მალხაზ არზიანი | მ | 15.08.64 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ასლან ბალაძე | მკ | 18.04.60 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| იური გაბისკირია | ნ | 01.09.68 | სპარტაკი (ნალჩიკი, რუსეთი) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ირაკლი გემეზაშვილი | მ | 06.07.77 | პლაუენი (გერმანია) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გოჩა გუჯაბიძე | მ | 07.07.71 | მერანი | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი დავითნიძე | მ | 18.07.78 | მერანი | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 |
| ირაკლი ვაშაკიძე | მ | 13.03.76 | ტორპედო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| როსტომ თორღაშვილი | ნ | 15.12.64 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გელა კეტაშვილი | მ | 27.09.65 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ოთარ კორღალიძე | თ | 02.09.60 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| თემურ კაბისაშვილი | მ | 13.09.67 | უგუნდო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ალექსანდრე კაიდარაშვილი | თ | 02.11.78 | ლოკომოტივი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| მერაბ კაციტაძე | მ | 25.02.63 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი მეგრელაძე | თ | 21.07.78 | ლიკ (საბერძნეთი) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ლაშა მონასელიძე | ნ | 02.01.77 | დინამო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ამირან მუჯირი | ნ | 20.02.74 | ბათუმი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| დავით მუჯირი | ნ | 02.01.78 | შერიფი (მოლდოვა) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი ნადირაძე | მ | 11.02.68 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი რევაზიშვილი | ნ | 31.03.77 | დილა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გოჩა ტყებუჩავა | მ | 24.11.63 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| მამუკა ფანცულაია | თ | 09.02.67 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| სოსო ჭედია | ნ | 09.10.65 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გოჩა ჩიქოვანი | მ | 12.10.62 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| კახა ჩხეტიანი | ნ | 24.02.78 | ტორპედო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ნიკოლოზ ჩხეიძე | მკ | 29.04.68 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ვახტანგ ხვადაგიანი | მ | 04.04.72 | ტორპედო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | მ | 26.06.81 | სპარტაკი (მოსკოვი, რუსეთი) | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ლევან მიქაძე | მ | 13.09.73 | ცსკა (კიევი, უკრაინა) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გრიგოლ ჭანტურია | მკ | 25.09.73 | ბათუმი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| დავით ასლანაძე | მკ | 16.11.76 | ლოკომოტივი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| მალხაზ ასათიანი | ნ | 04.08.81 | ტორპედო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ალექსანდრე გოგობერიშვილი | ნ | 26.02.76 | ვიტ ჯორჯია | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| მიხეილ მახვილაძე | მ | 22.07.78 | ტორპედო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ლაშა ნოზაძე | ნ | 18.03.80 | ვიტ ჯორჯია | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ედიკ საჯაია | მ | 16.02.81 | ვიტ ჯორჯია | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი შაშიაშვილი | მ | 01.09.79 | დინამო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| დავით ხმელიძე | მკ | 28.04.79 | როსტსელმაში (რუსეთი) | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |

# ეშმაკი ხუანი

## კუპერის სამი, ვალენსიას ორი

ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. პირველი მატჩი

## ვალენსია 3:0 ლიდს იუნაიტედი (0:0)

ვალენსია. «ესტადიო მესტალია». 53 000 მაყურებელი

1:0, 2:0 ხუან სანჩესი (16, 47), 3:0 მენდიეტა (52)

კანისარესი, ანგლომა, აიალა, პელეგრინო, აურელიო, ალბელდა, მენდიეტა (ანგულო 73), აიმარი (დეშამპი 71), კილი გონსალესი (ვისენტე 65), კარეუ, ხუან სანჩესი
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი

მარტინი, მილსი, ფერდინანდი, მატეო, ჰარტი, დაკური, ბეტი, ბაკე, კიუელი, ვიდუკა, სმიტი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი

გაფრთხილება: ხუან სანჩესი, აიმარი. გაძევება: სმიტი (90)

მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)

| | | |
|---|---|---|
| 7 | კარისკენ დარტყმა | 3 |
| 10 | კარში დარტყმა | 3 |
| 22 | ჯარიმა | 19 |
| 5 | კუთხური | 5 |
| 0 | თამაშგარე | 3 |


THE SUN

ხუან სანჩესმა გაიტანა. თავით, ხელით, მხრით, ამას რაღა მნიშვნელობა აქვს

**მეორე** ტაიმის მეორე წუთზე ხუან სანჩესმა კარგა შორი მანძილიდან მოიქნია და გაიტანა. ამით თამაში, ფაქტობრივად, დასრულდა. თუმცა ეს გოლი სხვა მიზნითაც ვახსენეთ. არ მოგეჩვენათ, რომ ის ძალიან ჰგავდა რუმინელთა პირველ გოლს ქართველთა კარში? თუ ფიქრობთ, რომ მართლაც ჰგავდა, ალბათ ელოდებით, რომ მატჩის შემდეგ ლიდსელთა მწვრთნელი დევიდ ოლირი მარცხს მთლიანად ნაიჯელ მარტინის უხეირო თამაშს დააბრალებდა და თვითონ ხელებს დაიბანდა. შესაძლოა, იმასაც ელით, რომ დევიდ ოლირი წაგების მეორე მიზეზად მე-16 წუთზე იმავე სანჩესის ხელით გატანილ გოლს დაასახელებდა და ამით მეორედ დაიბანდა ხელებს.

თუ ასე გგონიათ, იმედი უნდა გაგიცრუოთ. დევიდ ოლირიმ თქვა: „ხუან სანჩესმა ისე ოსტატურად შენილბა ხელით თამაში, რომ მსაჯმა ვერაფერი დაინახა. სამწუხაროა, რომ ასეთი გოლი გავუშვით, მაგრამ ეს თავის გასამართლებლად არ გამოგვადგება. მეორე ტაიმის დასაწყისშიც ძალიან სულელური გოლი გავუშვი. ლიგის ნახევარფინალში ასეთი ბურთები აუცილებლად უნდა აილო და უაღრესად იმედგაცრუებული ვარ. მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, ჩემი ფეხბურთელებით ვამაყობ. ჩვენ ძალიან ბევრს მივაღწიეთ, ხოლო „ვალენსია“ ჩვენზე ძლიერი გუნდია. მან დამსახურებულად დაგვამარცხა, ჩვენ ფინალში გასვლის შანსი, ფაქტობრივად, არ გვქონია“.

„ელანდ როუდზე“ უგოლო ფრის მერე „ლიდსს“ მაინც ჰქონდა ფინალში გაღწევის ჩინებული შანსი და ხუან სანჩესის პირველმა გოლმა, გაისკა მენდიეტას ბრწყინვალე პასით გატანილმა ბევრიც არაფერი შეცვალა — „ლიდსს“ ფინალში გასასვლელად იქამდეც და ახლაც ერთი გოლი სჭირდებოდა.

მაგრამ მალევე გამოჩნდა, რომ ინგლისელები გოლის გამტანნი არ იყვნენ. მათ იერიშებს რამდენჯერმე სახიფათო დასასრული შეიძლება მოჰყოლოდა, სანტიაგო კანისარესს კი ერთხელაც მიეცა თავისიანთა გადარჩენის შესაძლებლობა — კარგი მეკარისთვის ასეთი ბურთების აღება განსაკუთრებულ სირთულეს არ წარმოადგენს.

მასპინძელთა კონტრშეტევებში მეტი სიმწვავე იგრძნობოდა, თუმცა არც მათ უმართლებდათ, ორჯერ სულ მცირე მანძილით ააცილეს კარს.

ვერც იან ჰარტმა გააზერხა რამე, ერთხელ შეასრულა ისეთი საჯარიმო, რომლიდანაც ჩვეულებრივ გააქვს-ხოლმე, მაგრამ ამჯერად საოცრად არაზუსტად დაარტყა.

ყველაფერი შესვენებიდან შვიდ წუთში გაირკვა და თამაშმაც ინტერესი დაკარგა. ხუან სანჩესმაც და გაისკა მენდიეტამაც საჯარიმოს გარედან გაიტანეს მარჯვენა დაბალ კუთხეში, ზედ ძელის სიახლოვეს. ხუან სანჩესს დუბლის ჰეთ თრიქად ქცევაც შეეძლო, მაგრამ ძელს გაარტყა, ხოლო შეცვლაზე შესულმა მიგელ ანხელ ანგულომ დაუცველ კარს ააცილა.

ბოლოსკენ თამაში წახდა, ფეხბურთელებმა მინდორზე საქმის გარჩევას უხშირეს. დევიდ ბეტიმ და დიდიე დეშამპმა უთხრეს ერთმანეთს ერთი-ორი ტკბილი სიტყვა და სანამ გააშველებდნენ, ხელიც ჰკრეს. თუმცა ეს ეპიზოდი მაინც ჩვეულებრივი რამ იყო, თამაშისას ასეთი რამეები ხშირად ხდება, მაგრამ რას ფიქრობდა ალან სმიტი, თავის კბილა, 19 წლის ვისენტეს კინალამ კარიერა რომ დაასრულებინა? მისი ზღვარგადასული უხეშობა 92-ე წუთზე ყოვლად უწყინარ სიტუაციაში არბიტრმა ურს მაიერმა წითელი ბარათით შეაფასა და უეფას სადისციპლინო კომიტეტი სმიტის საქმეს ეგებ კიდევ მიუბრუნდეს.

უეფას გახსენებაზე — იქნებ ლი ბოიერი იყო ის კაცი, რომელიც „ლიდსის“ თამაშს გაამწვავებდა? გავიხსენოთ, რომ თამაშამდე ოცდაოთხი საათით ადრე უეფასეულმა გადაწყვეტილებამ ინგლისელები გააოგნა, ხოლო დევიდ ოლირის მთელი კვირის ნაფიქრალი წყალში ჩაუყარა — ლი ბოიერს „ელანდ როუდზე“ ხუან სანჩესისთვის მუცელზე ფეხის დაბიჯება სამმატჩიან დისკვალიფიკაციად დაუჯდა. სწორედ რომ ბედის ირონიაა, სანჩესმა ჯერ ბოიერი შეიწირა და მერე მისი გუნდიც. ამაზე ოლირიმ თქვა: „უეფამ ვიდეოტექნიკის გამოყენებით დაადგინა ბოიერის დანაშაული და სამწუხაროა, რომ ვიდეო სანჩესის პირველი გოლის გასაუქმებლად ვერ დაგვეხმარება“. თუმცა თავშიც აღვნიშნეთ, რომ ლიდსელთა მწვრთნელი იმ გოლს დიდ მნიშვნელობას არც ანიჭებს.

„ვალენსია“ ზედიზედ მეორედ გავიდა ჩემპიონთა ლიგის ფინალში, ხოლო კუპერისთვის, „მალიორკას“ ყოფილი თავკაცისთვის, ეს ზედიზედ მესამე ევროფინალი იქნება. ვფიქრობთ, ასეთი რამეები შემთხვევით არ ხდება და უბრალოდ გამართლება არაფერ შუაშია.

„შარშანდელი შეცდომა აღარ უნდა გავიმეოროთ — თქვა კუპერმა — მეორედ ასეთი შანსის ხელიდან გაშვება დაუშვებელია. ჩვენ უბრალოდ ვალდებულნი ვართ, თასი ვალენსიაში ჩამოვიტანოთ“.

კუპერს ჰკითხეს, ვის ისურვებდით ფინალში მეტოქეთ. არგენტინელმა ასეთი პასუხი გასცა: „დიდი მნიშვნელობა არა აქვს, თუ როგორ თამაშობს მეტოქე, მთავარია, შენ ითამაშო კარგად. ვიცი, რომ მთელ ესპანეთს შარშანდელი წმინდა ესპანური ფინალის გამოერება სურს. ჩემთვის კი სულერთია, გინდ „რეალი“ შეგვხვდეს, გინდ „ბაიერნი“. ყველაფერი ჩვენს ხელშია“.

**გიორგი დარჯანია**



# ჰარი რედნაპს მთელი ვესტ ჰემი გაეტირა

**წინა უქმეებზე** „ვესტ ჰემს“ „საუთჰემპტონი“ რომ ვერ დაემარცხებინა, თეორიულად შეიძლებოდა პრემიერლიგიდანაც გავარდნილიყო. ლონდონის „აპტონ პარკზე“ „ჩაქუჩებმა“ მეტოქეს სამი უპასუხო გოლი გაუტანეს და სეზონიც ამით დაასრულეს — ბოლო ტურის მატჩი მათთვის აღარაფერს წყვეტს. ამის მერე კლუბის მწვრთნელმა ჰარი რედნაპმა გადადგომის თაობაზე განაცხადა.

რედნაპი გუშინ შეხვედრია კლუბის თავმჯდომარეს და გადაწყვეტილებაც მაშინ მიუღია. „ეს უმძიმესი სეზონი გამოდგა ჩემთვის. ერთხანს ძალიან კარგად ვთამაშობდით და ევროტურნირებზე მოხვედრის იმედიც გვქონდა, მაგრამ მერე ძალიან ცუდად წაგვივიდა საქმე, ბოლო რვა კვირაა, ქომაგები ვერაფრით გავახარეთ. გუნდს ძალიან კარგი ხელმძღვანელობა ჰყავს და მათ იციან, როგორ მიაღწიონ წარმატებას მომავალში, ოღონდ ეს უკვე უჩემოდ მოხდება. ალბათ, წინადადებებს მივიღებ, ოღონდ ამაზე ფიქრი ჯერ არ მსურს. მთელ ზაფხულს ჩემს ბაღში გავატარებ და კარგად დავისვენებ. თუ ასე არ მოვიქეცი, კიდევ ერთ დაძაბულ სეზონს ველარ გავუძლებ“.

ჰარი რედნაპის „ვესტ ჰემიდან“ წასვლა ერთი რამითაცაა გამორჩეული — ეს ლონდონური კლუბი 101 წლისაა და მწვრთნელი მხოლოდ მერვედ გამოიცვალა. მეორე რომელ ასეთ კლუბს გაიხსენებთ?

კლუბის თავმჯდომარე ტერენს ბრაუნმა თქვა: „ჰარი რედნაპი ჩვენთან ცხრა წლის წინ მოვიდა და მთელი ამ ხნის განმავლობაში თავდაუზოგავი შრომით არაერთი სასიამოვნო მოგონება დაგვიტოვა“.

გავიხსენოთ, რომ ამ სეზონის პიკს „ვესტ ჰემმა“ იანვარში, ასოციაციის თასზე მიაღწია, როცა პაოლო დი კანიოს გოლით „ოლდ ტრეფორდზე“ „მანჩესტერი“ დაამარცხა. სწორედ ამის მერე დაიწყო „ვესტ ჰემის“ დაღმასვლა — შვიდი წაგება ბოლო ცხრა თამაშში, რამაც საბოლოოდ მწვრთნელის გადადგომა გამოიწვია.

გულდაწყვეტილნი არიან ფეხბურთელები. ფრედერიკ კანომ თქვა. მის წასვლას დიდად განვიცდი, ჰარი რედნაპმა მომიყვანა აქ და ისიც მაშინ, როცა ჩემით არავინ იყო დაინტერესებულიო.

ბოლოს კი აღვნიშნოთ, რომ პრემიერლიგაში ამჟამად მომუშავე მწვრთნელთაგან მხოლოდ ალექს ფერგიუსონი შემორჩა თავის კლუბს ჰარი რედნაპზე მეტხანს.

**გიორგი დარჯანია**

## ჰარი რედნაპი

*დაიბადა 1947 წლის 2 მარტს ლონდონში*

*1964 გააფორმა პირველი პროფესიული კონტრაქტი „ვესტ ჰემთან“*

*1964-72 ჩაატარა 149 მატჩი და გაიტანა ხუთი გოლი*

*1972 გადავიდა „ბორნმუთში“*

*1972-76 ჩაატარა 101 მატჩი და გაიტანა ხუთი გოლი*

*1976 გადავიდა „ბრენტფორდში“, სადაც მხოლოდ ერთი მატჩი ითამაშა*

*1982 დაინიშნა „ბორნმუთის“ მწვრთნელის თანაშემწედ*

*1983 მწვრთნელის პოსტზე შეცვალა დონ მეგსონი*

*1984 მესამედივიზიონელმა „ბორნმუთმა“ ასოციაციის თასზე სენსაციურად დაამარცხა თასის მფლობელი „მანჩესტერ იუნაიტედი“*

*1987 „ბორნმუთი“ მესამე დივიზიონის ჩემპიონი გახდა*

*1990 იტალიაში ყოფნისას მოყვა საავტომობილო კატასტროფაში, რომელმაც ხუთი ადამიანი შეიწირა. ხანგრძლივი მკურნალობის გამო ფეხბურთის მიტოვება მოუხდა. „ბორნმუთი“ მეორე დივიზიონიდან გავარდა.*

*1992 პირველ დივიზიონში ალზევებულ „ვესტ ჰემში“ დაინიშნა მწვრთნელის თანაშემწედ*

*1993 „ვესტ ჰემი“ პრემიერლიგაში გადავიდა*

*1994 მწვრთნელის პოსტზე შეცვალა ძველი თანაგუნდელი ბილი ბონდსი*

*2001 9 მაისს პოსტიდან გადადგა*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლივერპულმა წაიფორხილა
## ოუენი, ჯიმი, ოუენი, ჯიმი...

### ინგლისი

**გადადებული მატჩი**
**ლივერპული 2:2 ჩელსი**

1:0 ოუენი (8), ჰასელბაინკი (13), ოუენი (60), ჰასელბაინკი (61)
ლივერპული: ვესტერველდი, ბაბელი, ჰენრისი, ჰიპია, კარაგერი, ჯერარდი, ჰამანი (მერფი 72), ბერგერი (შმიცერი 58), მაკალისტერი, ჰესკი (ფაულერი 81), ოუენი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
ჩელსი: კუდიჩინი, მელხიოტი, დესაი, ტერი, ლე სო, ჯ. მორისი (იოკანოვიჩი 88), დალა ბონა, უაიზი, ძოლა (პოიეტი 90), ჰასელბაინკი, გუდიონსენი (ბაბაიარო 84)
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: ჰასელბაინკი, ლე სო, დესაი, მელხიოტი
43 588 მაყურებელი

ბოლოს და ბოლოს, „ლივერპულმა“ ველარ მოიგო და ორი მნიშვნელოვანი ქულაც დაკარგა საგაისო ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში. „ენფილდზე“ ფრედ, 2:2 დასრულდა ჟერარ ულიეს გუნდისა და „ჩელსის“ შეხვედრა.

მაიკლ ოუენმა, რომელმაც წინა ტურში ჰეთთრიკი შეასრულა, ამ შეხვედრაში ორჯერ დააწინაურა „ლივერპული“, მაგრამ ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკმა ორჯერვე გაათანაბრა ანგარიში.

ამგვარი შედეგი კი ნიშნავს იმას, რომ „ლივერპული“ 66 ქულით და ერთი დარჩენილი თამაშით კვლავ დგას მესამე ადგილზე და ქულითღა უსწრებს ასევე ერთთამაშდარჩენილ „იფსვიჩს“. მეხუთეზეა „ლიდსი“, რომელსაც ორი თამაში დარჩა და „ლივერპულს“ ოთხი ქულით ჩამორჩება.

ჩემპიონთა ლიგაში მხოლოდ სამი ინგლისური გუნდი გადის და მესამე ადგილიც ამიტომაა საბრძოლო. „ჩელსის“ კვლავ შეუძლია უეფას თასის გათამაშებაში მოხვედრა.

„ლივერპულ“ — „ჩელსის“ შეხვედრაში ანგარიში მერვე წუთზე გაიხსნა: გარი მაკალისტერმა პატრიკ ბერგერის გამჭოლი პასი მიიღო, ოუენს გაუგრძელა და ამანაც ჩაწოლილ მეკარეს ტანქვეშ გაუტარა. ხუთი წუთის შემდეგ ჰასელბაინკის კარგმა, თუმცაღა მაინც შესაჩერებელმა დარტყმულმა ყველას და ყველაფერს აუარა გვერდი და კარში შევარდა.

ოუენმა 60-ე წუთზეც ივაჟკაცა კარის წინ და „ლივერპული“ დაწინაურდა, თუმცა კვლავ რამდენიმე წუთით: იმავ ჰასელბაინკმა ჯემი კარაგერის შეცდომა გამოიყენა.

ორივე გუნდი გამარჯვებისკენ იწევდა და სტივენ ჯერარდს ბარე ორჯერ შეეძლო მასპინძელთა დაწინაურება. ჩელსელი სამ დალა რონა კი თავურით ეცადა ანგარიშის შეცვლას, მაგრამ ალარაფერი შეცვლილა.

„ლივერპული“ შაბათს ასოციაციის თასის ფინალში ხვდება „არსენალს“, იქეთა ოთხშაბათს კი უეფას თასის ფინალში „ალავესს“. ულიეს გუნდმა ასევე უნდა მოიგოს ჩემპიონატის დარჩენილი თამაში „ჩარლტონთან“.


ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 36 | 24 | 8 | 4 | 77:26 | 80 |
| არსენალი | 36 | 20 | 9 | 7 | 61:35 | 69 |
| ლივერპული | 37 | 19 | 9 | 9 | 67:39 | 66 |
| იფსვიჩი | 37 | 20 | 5 | 12 | 56:41 | 65 |
| ლიდსი | 36 | 18 | 8 | 10 | 55:41 | 62 |
| ჩელსი | 37 | 16 | 10 | 11 | 66:44 | 58 |
| სანდერლენდი | 37 | 15 | 11 | 11 | 44:39 | 56 |
| ასტონ ვილა | 37 | 13 | 15 | 9 | 46:40 | 54 |
| ჩარლტონი | 37 | 14 | 10 | 13 | 50:53 | 52 |
| ლესტერი | 37 | 14 | 6 | 17 | 38:48 | 48 |
| ნიუკასლი | 36 | 13 | 8 | 15 | 41:50 | 47 |
| ტოტენჰემი | 37 | 12 | 10 | 15 | 44:53 | 46 |
| საუთჰემპტონი | 36 | 12 | 10 | 14 | 35:45 | 46 |
| ვესტ ჰემი | 37 | 10 | 12 | 15 | 44:48 | 42 |
| ევერტონი | 37 | 11 | 8 | 18 | 43:57 | 41 |
| დერბი ქაუნთი | 37 | 10 | 11 | 16 | 36:58 | 41 |
| მიდლსბრო | 37 | 8 | 15 | 14 | 42:43 | 39 |
| სიტი | 37 | 8 | 10 | 19 | 40:63 | 34 |
| ქოვენთრი | 37 | 8 | 9 | 20 | 36:63 | 33 |
| ბრედფორდი | 36 | 5 | 10 | 21 | 29:64 | 25 |


„ლივერპულს“ მაიკლ ოუენის ორმა გოლმაც ვერ მოაგებინა

აქაც მე ვარ, იქაც მე ვარო, ალბათ წაიღიღინა ტედი შერინგემმა, ვისაც ამ სეზონში ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელობა ორივე ვერსიით ერგო — „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვეტერანი თავდამსხმელი ჟურნალისტების რჩეულიც გახდა და თავად ფეხბურთელებისაც. მაგრამ... არის კი შერინგემი საუკეთესო? იკითხა ყოველკვირეულმა „ობზერვერმა“ და თავისი რჩეულების სია გამოაქვეყნა მოკლე დახასიათებებით. თუ არ დაიზარებთ და ბოლომდე ჩაიკითხავთ, ნახავთ, რომ სხვებისთვის საუკეთესო ტედი ამ გაზეთის ათეულშიც კი ვერ მოხვდა. რატომ? ამაზე პასუხს სულ ბოლოს იხილავთ.

მაშ ასე, თითქმის გასული სეზონის ბრიტანეთის საუკეთესო ფეხბურთელები არიან:



# ჯერარდი: უბრალოდ საუკეთესო

**1. სტივენ ჯერარდი, „ლივერპული“. 20 წლის**

**ამავე კლუბის აღზრდილი. შესაბამისად, მასში თანხა რა გადახდილა, ახლა კი 25 მილიონ გირვანქას აფასებენ.**

ის არ არის თავის ტოლებში საუკეთესო, ის უბრალოდ საუკეთესოა. ჯერარდმა ამ სეზონში დაგვანახა, რომ ინგლისს ასეთი ტექნიკური ნახევარმცველი გესქოინის დროიდან არ ჰყოლია, ასეთი ძლევამოსილი კი — ბრაიან რობსონის შემდეგ. შეიძლება ითქვას, რომ ის პირველი ინგლისელი ნახევარმცველია, რომელსაც ძალა და ტექნიკა ერთად და უხვად მომადლებია. წლეულს სამივე ფრონტზე დაამტკიცა თავისი შესაძლებლობები: პრემიერლიგაშიც, ევროპაშიც და ნაკრებშიც. დრო გვიჩვენებს, როგორ გაიფურჩქნება მისი ნიჭი.

*ეგარდ ჰეგემი, ნორვეგიელი მცველი: „როცა ჯერარდი ვარჯიშზე პირველად ვნახე, მივხვდი, რომ დიდი ფეხბურთელი დადგებოდა. ის „ლივერპულისა“ და ინგლისის ნაკრების მომავალი კაპიტანია“.*

**2. ჰენრიკ ლარსონი, „სელტიკი“. 29 წლის**

**შეიძინეს „ფეიენოორდიდან“ 1997 წლის ივლისში 600 ათას გირვანქად. ახლა მისი ფასი 15 მილიონია.**

რამდენად კარგი ფეხბურთელი უნდა იყოთ, რომ შოტლანდიაში გოლები გაიტანოთ? და რამდენად კარგი ფეხბურთელი უნდა იყოთ, რომ შოტლანდიაში ერთ სეზონში 50-ზე მეტი გოლი გაიტანოთ? ეს ორი კითხვა ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდება. ლარსონის უძლიერესი თვისებები სისწრაფე, ორიენტაცია და ერთი შეხებით თამაშია. კრის სატონმა თქვა, ის საუკეთესოა ჩემს პარტნიორებს შორისო, ესე იგი, ალან შირერზე მაღლა დააყენა.

*მარტინ ონილი, „სელტიკის“ მწვრთნელი: „ვფიქრობ, ამ კაცის საფეხბურთო ნიჭთაგან ბევრი ჯერ კიდევ გამოუმჟღავნებელია“.*

**3. დევიდ ბექემი, „მანჩესტერ იუნაიტედი“. 25 წლის**

**ამავე კლუბის აღზრდილი. ახლა მისი ფასი 35 მილიონია.**

ვისაც გაუკვირდება, ამას სამეულში რა უნდაო, შემოდგომა გაიხსენოს, როცა სოლო წარმოდგენებს აწყობდა. მერე ორი თვე ნამდვილად ჩაუვარდა, მაგრამ თავის კლუბში მაინც უძლიერესია.

*პატრიკ კლუივერტი, ჰოლანდიელი ფორვარდი: „მისი კონცენტრირების უნარი და განსაკუთრებით პასები იდეალურია. ამ მხრივ ბექემს მსოფლიოში ვერავინ შეედრება“.*

**4. როი კინი, „მანჩესტერ იუნაიტედი“. 29 წლის**

**შეიძინეს „ნოტინგემიდან“ 1993 წლის ივლისში 3,75 მილიონად. ახლა მისი ფასი 15 მილიონია.**

კაცი, რომელიც მართავს „იუნაიტედს“ მოედანზე და მის თამაშს ვნებას ანიჭებს. კინის მებრძოლი სული ხშირად ფარავს მის ტექნიკას და ტაქტიკურ ცოდნას. ამასთანავე ხშირად გუნდის სპიკერად გვევლინება და შეცვლების მიზანშეწონილობიდან დაწყებული მენიუთი დამთავრებული ყველაფერზე ლაპარაკობს.

*სტივენ კარი, „ტოტენჰემის“ ირლანდიელი მცველი: „მისი მოედანზე ყოფნა ყოველთვის აუცილებელია. ამ დროს იცი, რომ შეცდომა არ უნდა დაუშვა, თორემ კინი მწვრთნელზე უარესია და შეიძლება მოედანზევე დაგახრჩოს“.*

**5. პატრიკ ვიეირა, „არსენალი“. 24 წლის**

**შეიძინეს „მილანიდან“ 1996 წლის აგვისტოში 4 მილიონად. ახლა მისი ფასი 30 მილიონია.**

ის კვლავ რჩება მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ნახევარმცველად, მიუხედავად იმისა, რომ პეტი გვერდზე აღარ ჰყავს. „არსენალის“ თამაში მთლიანად ვიეირას ძალაზე, წონასწორობაზე და ზუსტ პასებზეა დამოკიდებული. გასაუმჯობესებელი აქვს წინ თამაში, თორემ, როგორც წესი, შეტევის დაგვირგვინება უჭირს. ამართლებს ნელსონ მანდელას სიტყვებს — რასაც არ უნდა აკეთებდე, ბრძოლვინვა არ შეწყვიტო.

**6. მარკუს სტიუარტი, „იფსვიჩი“. 28 წლის**

**შეიძინეს „ჰადერსფილდიდან“ შარშან თებერვალში 2,5 მილიონად. ახლა მისი ფასი 10 მილიონია**

სეზონის მთავარი სიურპრიზი. ბევრისთვის ის მხოლოდ რამდენიმე იღბლიანი დარტყმის ავტორია. „იფსვიჩამდე“ მთელი კარიერა ქვედა ლიგებში გაატარა, სადაც ბევრს მოგზაურობდა, მაგრამ ჯორჯ ბარლის გუნდში მოხვდა და მისი ნიჭიც გაიფურჩქნა.

*ჯორჯ ბარლი, „იფსვიჩის“ მწვრთნელი: „რაული გაგიგიათ? სტიუარტიც თითქმის იგივეა!“*

**7. პოლ სქოულზი, „მანჩესტერ იუნაიტედი“. 26 წლის**

**ამავე გუნდის აღზრდილი. ახლა მისი ფასი 30 მილიონია.**

რატომღაც ეგონათ, რომ ნაკრებიდან კიგანის წასვლის შემდეგ სქოულზი იქ ველარ მოხვდებოდა. და რა? ის დღესაც ჩვენი ყველაზე ბასრი ნახევარმცველია სწრაფი ფეხით და არანაკლებ სწრაფი გონებით. ნებისმიერი დაცვის გარღვევა შეუძლია, ოღონდ მეტოქის შეტევის ჩაშლას ნუ მოთხოვთ და მეტი არაფერი უნდა.

*ალექს ფერგიუსონი, „იუნაიტედის“ მწვრთნელი: „სქოულზი კაცთა კაცია. ის არც არავის დაჩაგრავს, მაგრამ თავსაც არავის დააჩაგვრინებს. ვრწმუნდები, რომ ის ძველი ინგლისური სკოლის წარმომადგენელია“.*

**8. ლი ბოიერი, „ლიდსი“. 24 წლის**

**შეიძინეს „ჩარლტონიდან“ 1996 წლის ივლისში 2,8 მილიონად. ახლა მისი ფასი 15 მილიონია.**

შესაძლოა, ყველაზე უცნაურ არჩევნად ჩათვალოთ, მაგრამ იმას ვერავინ უარყოფს, რომ ბოიერი თავის სიძლიერეს ბოლო ორი წლის განმავლობაში ყოველდღიურად ამტკიცებს. სწორედ ის აძლევს დასაბამს და დაბოლოებასაც იმ საშინელ ტემპს, „ლიდსი“ რომ თამაშობს. თავად ბოლო ხუთ წუთშიც ისეთივე 60-მეტრიანი რეიდის შესრულება შეუძლია, როგორიც საწყის ხუთ წუთში.

*დევიდ ოლირი, „ლიდსის“ მწვრთნელი: „ის ბევრად უკეთესად ითამაშებს, როცა ადგილს ნაკრებშიც დაიმკვიდრებს“.*

**9. ლუი საჰა, „ფულემი“. 22 წლის**

**შეიძინეს „მეციდან“ შარშან ივნისში 2,1 მილიონად. ახლა მისი ფასი 10 მილიონია.**

მილეწ-მოლეწა მთელი პირველი დივიზიონი თავისი ჯან-ღონით, მოქნილობით და სისწრაფით. აშკარაა, რომ ერთ დროს ანელკას პარტნიორი საფრანგეთის ჭაბუკთა ნაკრებში კიდევ მოუმატებს. უყურეთ პრემიერლიგის მომავალ სეზონში და თავად ნახავთ.

*კარლ-ჰაინც რიდლე, გერმანელი თავდამსხმელი: „არ მეგონა, რომ ასეთი ძლიერი გახდებოდა, საჰა თხემით ტერფამდე ნიჭიერია, თანაც ოუენზე სწრაფი“.*

**10. ეშლი კოული, „არსენალი“. 20 წლის**

„არსენალის“ დაცვის მარცხენა ფლანგიდან ამოაგდო სილვინიო, ვინც თავის მხრივ ბრაზილიის ნაკრების დაცვის მარცხენა ფლანგიდან რობერტო კარლოსი განდევნა. რა გამოდის, ეშლი „რეალის“ ვარსკვლავს სჯობს? ხუმრობა იქით იყოს და ის მართლაც სეზონის აღმოჩენაა. მშვიდი, სწრაფი და კოორდინირებული მცველი მკვლელი „პადკატით“. მოკლედ, ინგლისის ნაკრების წევრი უახლოეს 10 წელიწადში.

აი, ასეთია „ობზერვერის“ ათეული. სხვათა შორის, გაზეთმა სეზონის ხუთი იმედგაცრუებაც დაასახელა: კანუ, დუაიტ იორკი, კევინ ფილიპსი, ხუან პაბლო ანხელი („ასტონ ვილას“ 9,5 მილიონიანი კოლუმბიელი თავდამსხმელი) და.. გლაზგოს „რეინჯერსი“ („სამეფო ოჯახის საფეხბურთო ეკვივალენტი: ძვირად შესანახი და არაფრის მომცემი“).

და ტედი? „ის ჩვენს ოცეულშიც კი ვერ მოხვდა“ — წერს „ობზერვერი“. აი, მიზეზი:

*„მანჩესტერ იუნაიტედს“ სეზონის უმთავრესი მატჩი მიუნხენის „ბაიერნთან“ ჰქონდა. შერინგემი ძირითად შემადგენლობაში ვერ მოხვდა. შეიძლება, ქვეყნის წლის საუკეთესო ფეხბურთელი წლის მატჩის სასტარტოში ვერ მოხვდეს? ალბათ, ალექს ფერგიუსონიც ჩვენსავით ფიქრობს“.*



# მოგკლავთ!
## ბარსელონა კლუივერტს ოფიციალურად დაემუქრა

**გვახსენდება**, რომ დიეგო მარადონა და რომარიო ამბობდნენ, „ბარსელონა“ უდიდესი კლუბია, მაგრამ იქ თამაში ნამდვილი ჯოჯოხეთიაო. თითქოს უცნაურია, ორივენი ბრწყინავდნენ კატალონიურ გრანდში, თუმც პატრიკ კლუივერტის ამბავი გვაფიქრებინებს, რომ მარადონასა და რომარიოს სიტყვებში სიმართლის წილიცაა.

ვწერდით, რომ პატრიკ კლუივერტს „ბარსელონაში“ კონტრაქტის ვადა მომავალი წლის ზაფხულში გასდის და ახალი ხელშეკრულების სანაცვლოდ ხელფასის გაზრდას ითხოვს. ჰოლანდიელი წელიწადში შვიდ მილიონ დოლარზე ნაკლებ ჯამაგირზე უარს ამბობს. ახლა კლუბს ასარჩევად აქვს საქმე, თუ ფეხბურთელის მოთხოვნას არ დათანხმდება, ერთ წელიწადში მისგან, როგორც თავისუფალი აგენტისგან კაპიკსაც ვერ მიიღებს.

მაგრამ კლუბი ორივე ვარიანტს იწუნებს და ერთდროულად ორი კურდღლის დაჭერა სურს. ამ საკითხზე სასაუბროდ შეიკრიბა დირექტორატიც.

სხდომაზე ითქვა: უპრიანია, კლუივერტს ულტიმატუმი წავუყენოთ. ჰოლანდიელი დავაშინოთ და ვუთხრათ, რომ თუ ახალ კონტრაქტს (ძველი პირობებით) ხელს არ მოაწერ, ეს ერთი წელი არათუ თამაშის, ვარჯიშის საშუალებასაც არ მოგცემთ და როგორც ფეხბურთელს მოგკლავთო.

ვფიქრობთ, ამგავარი ვარიანტი კლუბისგან მთლად ეთიკური არ უნდა იყოს, მაგრამ სადაც მილიონებზეა ლაპარაკი...

როგორც ცნობილი გახდა, ამ მოსაზრებას „ბარსელონას“ დირექტორატის ყველა წევრი არ იზიარებს.

თავად კლუივერტი კი ამბობს: „მე ჩემი პირობები შევთავაზე და პასუხს ველი. ჩემი აგენტი უკვე ექვსჯერ შეხვდა პრეზიდენტს და ჯერჯერობით უშედეგოდ. „ბარსელონადან“ წასვლა არ მსურს, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, სხვა გზა აღარ დამრჩება“.

**გიორგი დარჯანია**

# აბა, პასპორტი მაჩვენე!
## იტალიაში ბებია-ბაბუების ზღაპრებს აღარ ჰყვებიან



ხუან სებასტიან ვერონი

**იტალიური** ფეხბურთის მამების ამასწინდელი გადაწყვეტილება არაევროკავშირელებისთვის ფრიად სასიხარულო სიახლეა. ლეგიონერებით გადაჭედილ კლუბებს უკვე აქვთ უფლება, მოედანზე სამზე მეტი არაევროპელი გაიყვანონ. გაიხარა სამხრეთამერიკული წარმოშობისა და ევროპული ფესვების მაძიებელმა დიდმა არმიამ, აგრეთვე ბობოლა გუნდების კვაჭმა ხელმძღვანელობამ. აღარავინ შეეცდება, ძვირად შეძენილ ფეხბურთელს ცრუ, ყალბი დოკუმენტები გაუხერხოს და მავანის მავანი ბებიის, დიდი ბაბუისა თუ მამიდის ევროფესვები ეძიოს. აღარც არგენტინელი ხუან სებასტიან ვერონი განავრცობს საკუთარი ბებიის წარმომავლობის თემას.

თქვა კაცმა, ბებია იტალიელი მყავდაო, მაგრამ ვინ დაუჯერა? ის კი არადა, ამის გამო სასამართლო პროცესების დაუსრულებლობამ ფეხბურთელს ჩინებული სპორტული ფორმაც დააკარგვინა. ეს „ლაციოს“ პრეზიდენტის სერჯო კრანიოტის აზრი გახლავთ. იგი ჩიოდა, ვერონს დიდი ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენესო და ერთი პირობა მისი გაყიდვაც კი მოუვიდა აზრად, მაგრამ უშველა ღმერთმა იტალიის ფეხბურთის ფედერაციას. ლიმიტი აღარაა, ვერონის საკითხიც მოიხსნა, სერჯო კრანიოტი არგენტინელს მადრიდის „რეალში“ აღარ გაუშვებს. მიუხედავად ორმოცდახუთი მილიონისა, რომელსაც სამეფო კლუბი არგენტინელში გამოდის, იტალიელები ვერონთან ახალი ოთხწლიანი კონტრაქტის გაფორმებას აპირებენ.

ხუან სებასტიან ვერონმა, სერჯო კრანიოტიმ და კიდევ შვიდმა კაცმა ამას წინათ გამართულ „ბებიის პროცესზე“ არგენტინელის იტალიური პასპორტის შესახებ სასამართლოს ჩვენებები მისცეს. ალბათ, ბოლო ჩვენება წინამორბედთაგან გულახდილობით გამოირჩევა, მაგრამ კანონი მაინც კანონია. თქვენ წარმოიდგინეთ, იტალიაშიც ასეა და თუმცა არაევროკავშირელ თაღლითებს აღარ დევნიან, მაგრამ ძველი ცოდვებისთვის „ლაციოს“ მოთამაშე ხუან სებასტიან ვერონს და კლუბის პრეზიდენტ სერჯო კრანიოტის გვარიანი ფულადი ჯარიმა ელით.

**გიორგი გამარჯაშვილი**

# ჯორიჩის ანდერძი
## ერიდეთ პოლიტიკას და პრედრაგ მიატოვიჩს



პრედრაგ მიატოვიჩი (№8) მილოვან ჯორიჩის თვალში ინტრიგანია

**მილოვან ჯორიჩი** ახლახან გაათავისუფლეს იუგოსლავიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან. მას ჟურნალისტები და გულშემატკივრები საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში უკირკიტებდნენ და აკრიტიკებდნენ. სამართლიანადაც, რადგან ჯორიჩის ხელში იუგოსლაველთა კორეა-იაპონიის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი სულ უფრო მცირდებოდა. ნაკრებშიც, ფეხბურთელებისა და მწვრთნელის ურთიერთდამოკიდებულებას კაცი სახარბიელოს ვერ დაარქმევდა.

მილოვან ჯორიჩს ბავშვივით გამოსდიოდა, იდგა და თავს იმართლებდა. იგი ახლაც, როდესაც უკვე ნაკრების კარს მიღმაა, იგივეს გაიძახის. ჯორიჩის აზრით, წყლის ამღვრევა, რომელმაც იგი და ნაკრებიც შეიწირა, კარგად მოფიქრებული, მავანთაგან დაგეგმილი გახლდათ. ალბათ ამიტომაც, ბოლო დრომდე მას არ სურდა თანამდებობის დატოვება: „თავის დროზე მე არავისთვის მითხოვია ეროვნული გუნდის მწვრთნელობა, აქედან გამომდინარე, სანამ ვინმე (ის ხალხი, ვინც ამ ადგილზე დამნიშნა) არ მეტყოდა, რომ ნაკრები უნდა დამეტოვებინა, ცხადია, ამას არც გავაკეთებდი. მოვიდა დრო და მეც წავედი. მაგრამ ჩემს მიმართ აგორებული ბინძური კამპანია სხვა მიზანს ისახავდა. მას არასპორტული, პოლიტიკური საფუძველი ჰქონდა“.

პოლიტიკურის გარდა კიდევ ერთი საფრთხე, რომელსაც ჯორიჩი ააშკარავებს, საკმაოდ დიდ პრობლემას უქმნის იუგოსლავიის ნაკრებს. ყოფილი მწვრთნელი მემკვიდრეებს — ისინი სამნი არიან — ანდერძივით უბარებს, ერიდეთ პრედრაგ მიატოვიჩსო. ჯორიჩის თქმით, „ფიორენტინას“ თავდამსხმელს ლომის წილი უდევს ნაკრებში ვითარების დაძაბვაში: „მიატოვიჩის მოსვლამდე გუნდში ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ მისმა მოსვლამ ყოველივე შეცვალა, რა თქმა უნდა, ცუდისკენ. მეც მიატოვიჩი უკან, იტალიაში გავამგზავრე“.

როგორც ვხედავთ, 1998 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩის გმირის, პრედრაგ მიატოვიჩის ნაკრებიდან მოკვეთამ მწვრთნელი მაინც ვერ იხსნა. ჯორიჩის პრობლემები ახლა უკვე ერთდროულად სამმა კაცმა — ვუიედინ ბოშკოვმა, დეიან სავიჩევიჩმა და ივან ჩურკოვიჩმა უნდა მოაგვარონ. ყოფილი მწვრთნელის თქმით კი, იუგოსლაველებს ორი მთავარი მტერი — ქვეყნის არეულ-დარეული პოლიტიკა და ბუნტისთავი ფიორენტინელი პრედრაგ მიატოვიჩი ჰყავს.

**გიორგი გამარჯაშვილი**

# კოლუმბიამ მატურანას პირი დაუღო

**კოლუმბიის** ნაკრების მწვრთნელი ლუის აუგუსტო გარსია თანამდებობიდან გადადგა. თვითონ წავიდაო, ამბობენ, მაგრამ როგორც იქაური მედია ვარაუდობს, იგი ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით მოხსნეს — ნაკრების ბოლოდროინდელი სუსტი თამაში არ აპატიეს.

თავად ლუის აუგუსტო გარსიამ პრესკონფერენციაზე ამის თაობაზე კონკრეტულად არაფერი თქვა, მომავალ მწვრთნელს კი გზა დაულოცა და განაცხადა: „იმედია, რომ ჩემს ადგილზე მოსული წარმატებას მიაღწევს და გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაიყვანს“.

კორეა-იაპონიის საგზურის მოსაპოვებლად კი კოლუმბიელები სამხრეთ ამერიკის შესარჩევი ჯგუფის პირველ ხუთეულში უნდა მოხვდნენ, თუმცა პირველი ოთხეულისგან განსხვავებით მეხუთე გუნდი ფინალურ ეტაპზე პირდაპირ ვერ გადის და საგზურს პლეი ოფში, ოკეანეთის ჯგუფის გამარჯვებულთან ჭიდილში უნდა მოიპოვოს.

კოლუმბიის ნაკრები ახლა ზუსტად მეხუთე ადგილზეა, 19 ქულა აქვს და ბრაზილიას 2 ქულით ჩამორჩება.

აპრილში კოლუმბიამ აუტსაიდერ ვენესუელასთან 2:2 ითამაშა, რამაც აუგუსტო გარსიას მოხსნასა თუ გადადგომაში დიდი როლი ითამაშა. მან სულ ერთი წელი იმუშავა და ახლა ეს პოსტი ფრანსისკო მატურანას დაუთმო...

...52 წლის სპეციალისტს, ხელობით კბილის ექიმს, რომელიც კოლუმბიის ნაკრებს ადრეც ედგა სათავეში და გუნდი 1990 და 1994 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებზე ათამაშა. როგორც ხედავთ, ფედერაციამ იგი კვლავ დააბრუნა და ამის არაერთი მიზეზი არსებობს.



ფრანსისკო მატურანა

მატურანას ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს ნაკრების ვეტერან ფეხბურთელებთან, რასაც ვერ ვიტყვით გადამდგარ ლუის აუგუსტო გარსიაზე. ფრანსისკო მატურანას კოლუმბიის ეროვნული გუნდის გარდა ეკვადორის, კოსტა რიკისა და პერუს ნაკრებების მწვრთნელადაც უმუშავია, საკლუბო დონეზე კი მისი ყველაზე დიდი მიღწევა, 1989 წელს „ატლეტიკო ნასიონალთან“ ერთად ლიბერტადორესის თასის მოგება გახლავთ.

„ჩემი მთავარი მიზანია, კოლუმბიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ვათამაშო, ასევე მომავალ კოპა ამერიკაზე გავიმარჯვოთ“ — განაცხადა მატურანამ პრესკონფერენციაზე.

აქვე შეგახსენებთ, რომ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატს ივლისში სწორედ კოლუმბია უმასპინძლებს.

**ნიკა ზუგლაძე**

# გომესმა ტყვია გაატარა

**ჯონ კენედი** მოკლეს, ჯონ ლენონიც სიცოცხლეს გამოასალმეს. კოლუმბიელი ფეხბურთელი ანდრეს ესკობარიც, რომელმაც 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე საკუთარ კარში გაიტანა გოლი, მოგვიანებით მავანი გიჟმაჟის ტყვიამ იმსხვერპლა.

ეს ამბები იმიტომ გავიხსენეთ, რომ, არც ეკვადორის ნაკრების მწვრთნელ ერნან დარიო გომესს აქვს კარგად საქმე. მასაც ესროლეს და სიკვდილს შემთხვევით გადაურჩა.

ეკვადორის სანაპირო ქალაქ გუაკილის „ჰილტონ კოლონ ჰოტელის“ კაფეში მჯდომ მწვრთნელს ვიღაც უცნობი მიეჭრა და ტყვია დაახალა. თავდამსხმელი უმალ გაუჩინარდა და მისი დაკავება ვერ მოახერხეს.

დარიო გომესი კი უმალ უახლოეს „კენედის“ კლინიკაში გააქანეს. სააგენტოების ცნობით, ახლა პოლიცია ცდილობს, ბალისტიკური შემოწმებით თავდამსხმელის კვალს მიაგნოს.

# 88 რას ნიშნავს ეს? HH
## კაცური პასუხი ბუფონისგან

**ბოლოხანს** საერთაშორისო სააგენტოთა გავრცელებულ ცნობებში გახშირდა იტალიურ ფეხბურთსა და რასიზმზე, უფრო ხშირად კი „ლაციოსა“ და რასიზმზე საუბარი. ჩვენ გვეუბნებიან (ცალკეულ კადრებს ტელევიზიითაც ვუცქერთ), როგორ გამოფინეს რომაელმა ქომაგებმა ტრიბუნაზე რასისტული პლაკატი ან, როგორ გალანძღა თამაშის დროს იუგოსლაველმა სინიშა მიხაილოვიჩმა ლონდონის „არსენალის“ ფრანგი, ფერადკანიანი ნახევარმცველი პატრიკ ვიეირა, რისთვისაც შემდეგ სახალხოდ, მოედანთან მოწყობილილი მიკროფონით ბოდიში მოახდევინეს.

მაგრამ, ერთია ცნობებითა და ხუთათწამიანი ვიდეოკადრებით შექმნილი შთაბეჭდილება და მეორე საკითხსა და მის გამომწვევ მიზეზებში ღრმად ჩახედვა.

და აი, წინ გვიდევს ინგლისური გაზეთ „ობზერვერის“ კორესპოდენტის, რორი კეროლის 6 მაისს გამოქვეყნებული ვრცელი სტატია, რომელშიც ავტორი თემის შიგნიდან გაშუქებას ცდილობს. წერილის მთლიანად გადმოქართულების საშუალება ფართობის სიმცირის გამო არ გვაქვს, თუმცა, უნდა მოგახსენოთ, რომ ის ძალიან გაწაფული ოსტატის შესრულებულია, რასაც, იმედია, ცალკეული ფრაგმენტების გაცნობითაც იგრძნობთ.

„იტალიური რასიზმის ტონი ხშირად კვაზი-ოფიციალურიც კია. 1997 წელს, პოლონეთში ვიზიტის დროს, იტალიის ნაკრების ფეხბურთელებმა უარი განუცხადეს საკუთარი ფედერაციის ხელმძღვანელებს ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის მონახულებაზე. ჟურნალისტები, რომლებმაც ეს ამბავი დაწერეს, დააშინეს, ხოლო ნაკრების მეკარემ, ჯანლუიჯი ბუფონმა ჩაიცვა მაისურა, რომელზეც ეწერა „სიკვდილი მას, ვინც დანებდება“ — ეს ფაშისტური ლოზუნგია. ბუფონი, რომელიც სერია A-ს კლუბ „პარმაში“ თამაშობს, შარშან მცირე სკანდალის მიზეზიც კი გახდა. მას ახალი სეზონის წინ 88 ნომრიანი მაისურას განპიროვნება სურდა, რაც ნეონაცისტური სიმბოლოა: ანბანის მერვე ასო ხომ H-ია. ამრიგად, 88 გამოდის HH ან „ჰაილ, ჰიტლერ“. შემდეგ ბუფონმა განაცხადა, ამის შესახებ არაფერი ვიცოდიო: „მე 88 იმიტომ ავირჩიე, რომ ეს რიცხვი ოთხ ყვერს მაგონებს, ხოლო იტალიაში ყველამ ვიცით, რომ ყვერიანობა სიძლიერეს და ვაჟკაცობას ნიშნავს“. მოგვიანებით, მან ეს ნომერი 77-ით შეცვალა.

გვსურს მკითხველს შევახსენოთ, რომ 1997 წელს იტალიის ნაკრების პოლონეთში ვიზიტი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირით იყო განპიროვნებული. ის მატჩი პრინციპული გახლდათ და 0:0 დასრულდა, ხოლო ჩვენთვის ეს ამბავი იმდენად იყო მნიშვნელოვანი, რამდენადაც იტალიისა და პოლონეთის გარდა ჯგუფში მონაწილეობდნენ საქართველო, ინგლისი და მოლდოვა.

ავტორი, ჩვენს მიერ ნახსენებ მიხაილოვიჩ — ვიერას ეპიზოდსაც იგონებს, თუმცა ბევრ უცნობ ამბავსაც მოგვითხრობს. მაგალითად, იგი წერს, რომ „ლაციოს“ ქომაგებმა გასულ სეზონში რასისტულად ლანძღეს „ვენეციას“ ფერადკანიანი (ისიც ფრანგი) მცველი ბრუნო ნგოტი, რაზეც რომაელთა მწვრთნელს, დინო ძოფს უთქვამს, არ ვიცი, შეიძლება თუ არა ამისთვის რასიზმის შერქმევა, რადგან ეს უფრო ხალხურ ოხუნჯობას ჰგავდა. ხალხი ხომ ზოგს სიმაღლის, ზოგს სიდაბლის და ზოგსაც ნაცრისფერი თმის გამო რეპლიკებს ესვრისო.

დღეს „ლაციოს“ მწვრთნელი დინო ძოფი გასულ სეზონში იტალიის ნაკრებს ედგა სათავეში და იმ თამაშზე, ალბათ, ეროვნული გუნდისთვის ფეხბურთელების შესარჩევად იყო მისული. ყოველ შემთხვევაში კომენტარს, როგორც „ლაციოს“ წარმომადგენელი ვერ გააკეთებს, თუმც ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, თუ ნგოტი რასისტულად ლანძღეს, ძოფს ქომაგთა საქციელი უნდა დაეგმო.

ამ ამბისგან განსხვავებით, უფრო კონკრეტულადაა აღწერილი სხვა შემთხვევა, რომელიც „ტორინოსა“ და „ბარის“ სათასო შეხვედრაში მომხდარა: „ტურინელთა სენეგალელ მცველს, ჯიბრილ დიავარას ცხვირი გაუტყდა. დასისხლიანებული დიავარა „ბარის“ კაპიტანს ლუიჯი გარსიას შეეწინააღმდეგა, რაც „ბარის“ მწვრთნელისთვის, ეუჯენიო ფაშეტისთვის მეტისმეტი აღმოჩნდა და მან დაიღრიალა: — ზანგმა გარსიას შეაფურთხა. მისი ფურთხი შესაძლოა ინფიცირებული იყოს. რატომ არ დარჩებიან ეს ზანგები სახლში? — მოგვიანებით ფაშეტიმ განაცხადა, რომ ვერ დაინახა, როგორ ჩაარტყა მისმა ფეხბურთელმა დიავარას იდაყვი. ჭრილობაზე მარილის დაყრა კი ის გახლდათ, რომ დიავარა ფურთხებისთვის ოთხი მატჩით დასაჯეს, ხოლო თეთრი იტალიელი, გარსია მხოლოდ ერთით“.

„ობზერვერის“ კორესპოდენტი იგონებს ასეთ ფაქტს: „იანვარში, „ვერონას“ აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელის, მბომას ყიდვა განუზრახავს, მაგრამ გარიგება ჩაიშალა. მოგვიანებით, ვერონელთა პრეზიდენტს, ჯამბატისტა პასტორელოს უთქვამს: „როდესაც შენი გულშემატკივარი ასეთ რაღაცეებს აკეთებს, იძულებული ხარ მოთმინებით აღიჭურვო“.

ამის შემდეგ სტატიაში წერია, რომ იტალიაში ქომაგები მხოლოდ რასისტები კი არ არიან, არამედ პოლიტიკური ნიშნითაც გახლავან დაყოფილნი. მაგალითად, დღემდე შემორჩენილია ძველისძველი ფონი: „რომა“ კომუნისტების გუნდია, ხოლო „ლაციო“ მემარჯვენეების.

„ეს ყველაფერი კი 25 წლის წინანდელ ინგლისს გვაგონებს, როდესაც შავკანიანი ფეხბურთელები ტრიბუნიდან მაიმუნის ხმებს ისმენდნენ და მათ ბანანებს ესროდნენ... იანვარში, „ლაციო“ — „ინტერის“ მატჩზე მყოფი, ორგანიზაცია „ევროპაში ფეხბურთი რასიზმის წინააღმდეგ“ შეფი მიშელ ფანიზადე გაოგნდა, როდესაც შეურაცხმყოფელთა შორის ქალები და ბავშვებიც შენიშნა“ — წერს რორი კეროლი.

როგორც მოგახსენეთ, სტატია საკმაოდ ვრცელია და იტალიური ფეხბურთის თემა მრავალმხრივ არის გაშუქებული. აქვეა ნანდროლონის და დოპინგ-სკანდალის ამბები, აქვეა კორუფცია და საპასპორტო აურზაური, ხოლო წერილს ინგლისელი ჟურნალისტი მავანი იტალიელი ქომაგის სიტყვებით ასრულებს: „ეს ლიგა ყარს. თქვენ შეგიძლიათ მძორის სუნი იყნოსოთ“.

**ბაჩუნა ძიდია**

### ექსცესები იტალიურ ფეხბურთში

**2000, ოქტომბერი**
**პიაჩენცა — ატალანტა**

ჩხუბი პაიჩენცას სადგურზე. მატარებელს უამრავი საგანი ესროლეს, მათ შორის ველოსიპედი. დაშავდა ათი პოლიციელი.

**ნაპოლი — ბოლონია**

სტადიონზე „ნაპოლის“ ქომაგებმა პოლიციას საგნები დააყარეს. პოლიციამ გაზი გამოიყენა. ჩხუბი სტადიონს გარეთაც გაგრძელდა. დაშავდა ორი პოლიციელი და ერთი ქომაგი.

**მილანი — იუვენტუსი**

„მილანის“ ქომაგებმა „იუვეს“ ქომაგების სექტორში მაშხალა ისროლეს. „იუვეს“ ქომაგები გაბრაზდნენ, მაგრამ საქმეში პოლიცია ჩაერია.

**ნოემბერი**
**რეჯინა — ბრეშა**

„რეჯინას“ ქომაგებმა მინდორზე ნივთები ჩაყარეს და თამაში შეწყდა. ეს ქომაგები, „სან ანჯელო დე ლომბარდის“ ტაძრის არქიეპისკოპოსის ჩათვლით ერთი წლით სტადიონიდან მოკვეთეს.

**კომო — მოდენა**

ფეხბურთელებმა ერთმანეთში იჩხუბეს. მოდენელი ფრანჩესკო ბერტოლოტი კომაში ჩავარდა და რვა დღის მანძილზე გონს ვერ მოეგო.

**დეკემბერი**

„ნაპოლის“ ქომაგმა კლუბის მეპატრონის, კორადო ფერლანიოს ბაღში ყუმბარა ჩააგდო.

**ინტერი — პარმა**

პარმელმა ქომაგებმა „ინტერის“ ავტობუსს ბენზინის ყუმბარები დაუშინეს. პოლიციამ გაზი გამოიყენა.

**ინტერი — იუვენტუსი**

„იუვენტუსის“ ქომაგებმა პოლიციას სკამები და ქვები დაუშინეს.

**2001, იანვარი**
**ლაციო — ნაპოლი**

„ნაპოლის“ ქომაგებმა „ლაციოს“ ქომაგებს ქვები დაუშინეს. ექვსი გულშემატკივარი და 11 პოლიციელი საავადმყოფოში მიიყვანეს.

**მილანი — რომა**

მატჩის შემდეგ პოლიცია „რომას“ ქომაგებს შეებრძოლა. პოლიციამ გაზი გამოიყენა.

**თებერვალი**
**პიზა — სპეცია**

„ლა სპეციას“ ქომაგებმა სკამებს ცეცხლი მოუკიდეს და მოედანზე გადაყარეს. ერთი სკამი „პიზას“ მეკარეს მოხვდა.

**ატალანტა — ვიჩენცა**

„ვიჩენცას“ ქომაგის ნასროლმა ხელყუმბარამ ორი პოლიციელი დააშავა.

**ფოჯა — ტრიკაზე**

მოედანზე ნასროლმა მაშხალამ თამაში 87-ე წუთზე ჩაშალა. „ფოჯას“ ქომაგებმა ქუჩაში მანქანები დაამტვრიეს. მანამდე ისინი გასახდელში შეჭრას ცდილობდნენ.

**მარტი**
**ბრეშა — ლაციო**

„ბრეშას“ ქომაგებმა დაამტვრიეს მინები, დაწვეს გაზეთები და მსაჯებს ბოთლები ესროლეს.



ჯანლუიჯი ბუფონი

### ფეხბურთის რუკასთან ახლოს



**ფრანგი** თავდამსხმელი დავიდ ტრეზეგე სეზონის ბოლოს, შესაძლოა, სამშობლოში დაბრუნდეს და კარიერა მარსელის „ოლიმპიკში“ გააგრძელოს. ამის თაობაზე ტურინის „იუვენტუსის“ ფეხბურთელმა ერთ-ერთ გაზეთს განუცხადა. „ამბიციურ გუნდში მსურს თამაში. თუ „ოლიმპიკში“ ამის შანსი მომეცემა, სიამოვნებით გადავალ“ — თქვა ტრეზეგემ. შეგახსენებთ, რომ ფრანგულ კლუბში დირექტორად ცოტა ხნის წინ ბერნარ ტაპი დაბრუნდა და ძლიერი გუნდის შექმნას აპირებს. მარსელელები ტურინელებს ტრეზეგეს სანაცვლოდ 20 მილიონ დოლარს სთავაზობენ.

**გერმანული „ფრაიბურგის“ ნახევარმცველმა ზუბეირ ბაიამ ახალი სეზონი შესაძლოა „ბეშიქთაშში“ დაიწყოს. სტამბოლურ კლუბში მას გერმანელი მწვრთნელი კრისტოფ დაუმი ეპატიჟება. ადრეც ამბობდნენ, რომ 30 წლის ტუნისელი ფეხბურთელი „ფრაიბურგიდან“ წასვლას აპირებდა, რადგან კლუბთან ფინანსურ საკითხებზე ვერ შეთანხმდა. „კრისტოფ დაუმის გუნდში სიამოვნებით ვითამაშებდი“ — განუცხადა ბაიამ ჟურნალისტებს. იგი სტამბოლური კლუბის წარმომადგენლებთან უკვე აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს.**

**იტალიურმა** „იუვენტუსმა“ ფრანგი ნახევარმცველის, კლოდ მაკელელეს სანაცვლოდ მადრიდის „რეალს“ საკმაოდ სოლიდური თანხა შეაძლია, მაგრამ „სამეფო კლუბს“ მანამდეც არაერთხელ განუცხადებია, რომ ცენტრალური ნახევარმცველის გაყიდვას არ აპირებს. შეგახსენებთ, რომ „რეალმა“ მაკელელე სეზონის დაწყებამდე „სელტადან“ შეიძინა და მის სანაცვლოდ 11 მილიონი გირვანქა გადაიხადა. ფრანგიც კარგად მოერგო გუნდს და ახლა ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეა.

**ესპანეთის პრიმერადივიზიონის აუტსაიდერმა „ნუმანსიამ“ მწვრთნელი მარიანო გარსია რამონი თანამდებობიდან გაათავისუფლა. აღსანიშნავია, რომ იგი გუნდში ხუთი თვის წინ მივიდა, თუმცა კლუბის კრიზისიდან გამოყვანა ვერ მოახერხა. წინა ტურში „ნუმანსია“ „სარაგოსასთან“ 1:3 დამარცხდა და ახლა ბოლო ადგილზეა. ვის დანიშნავენ ახალ მწვრთნელად, კლუბს ჯერჯერობით არ განუცხადებია. ხუთი თვის წინ, როცა გარსიამ მწვრთნელის პოსტზე ფრანსისკო ერერა შეცვალა, „ნუმანსია“ მე-17 ადგილზე იყო.**

**ინგლისური** სააგენტოების ცნობით, ლონდონის „არსენალს“ „პორტუს“ მცველის, ჟორჟე ანდრადეს შეძენა სურს და პორტუგალიურ კლუბს სანაცვლოდ 10 მილიონ გირვანქას სთავაზობს. 23 წლის ფეხბურთელი, რომელმაც დაახლოებით ერთი თვის წინ პორტუგალიის ნაკრებში სადებიუტო მატჩი ჩაატარა, „პორტუში“ შარშან „ამადორადან“ 3 მილიონ გირვანქად გადავიდა. ბრიტანელები აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებენ ცენტრალურ მცველთან და მას, სავარაუდოდ, სეზონის ბოლოს გადაიბირებენ.

## თურქული ამბავ-ხაბარი

**მადრიდის** „რეალთან“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში დამარცხებულმა „გალათასარაიმ“ კვირას პრინციპული მატჩი წააგო დაუძინებელ მტერთან „ფენერბაჰჩესთან“, რამაც „წითელყვითლების“ გულშემატკივართა რისხვა გამოიწვია.

„ჩვენ საკუთარი თავი დავამარცხეთ, „ფენერბაჰჩემ“ კი ერთი ჩვეულებრივი გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, ამით ყველაფერი არ დამთავრებულა“ — განაცხადა თამაშის შემდეგ „გალას“ დამრიგებელმა მირჩა ლუჩესკუმ, რომლის ქოჩორა თავსაც ტრიბუნიდან ნასროლმა სანთებელამ ადვილად მიაგნო. ამ ინციდენტმა საკმაოდ შეურაცხყო რუმინელი, თუმცა ზოგი მწვრთნელისგან განსხვავებით მან აღიარა მატჩის დროს დაშვებული ტაქტიკური შეცდომები, რომლებმაც გადაწყვიტეს კიდეც ამ დუელის ბედი. „დარჩენილ სამ ტურში ქულათა მაქსიმუმს ავილებთ და ჩემპიონებიც გავხდებით, რითაც ჩვენს ოპონენტებს მოვაკეტინებთ. მე მჯერა ჩემი ფეხბურთელების“. არ ცხრებოდა რუმინელი მწვრთნელი.



მირჩა ლუჩესკუ

☾ ☾ ☾

**მომავალ** სეზონში „გალათასარაის“ ლიდერის, გეორგ ჰაჯის შემცვლელად ამჟამად „ტრაბზონში“ მოთამაშე სერგენ იალჩინს ასახელებენ. ყველაფერი ამასთან დაკავშირებით 20 მაისს გაირკვევა.

სერგენი ნაკრების წევრია და ადრეც უთამაშია „გალაში“. სტამბოლური კლუბის ერთ-ერთი წარმომადგენლის კითხვაზე, რას ფიქრობ ჩვენთან გადმოსვლაზეო, მან მოსაფიქრებლად დრო ითხოვა. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ეს გარიგება ალბათ არ ჩაივლის „ბეშიქთაშის“ გარეშე, რომლის აღზრდილიც გახლავთ სერგენი. თავის მხრივ ჰაჯიმაც არ დაიშურა ქების სიტყვები მისი პოტენციური შემცვლელის მისამართით.

**გაჩა ხუციშვილი**

**იყიდება!**
ნახმარი
კომპიუტერული ტექნიკა
ტელ. 38-11-14, 39-48-29

ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001 (1წთ / 50 თეთრი)

# ნაცნობი უცნობი

## ბოლქვაშვილი მადლობას ლელოთი იხდის

ბორჯღალის ქარი

**დავით ბოლქვაშვილი**

***ორი წლის წინათ დავით ბოლქვაშვილის სახელი სარაგბო საზოგადოებაში ერთეულებმა თუ იცოდნენ. სამუალო „უნივერსიტეტის“ ჭაბუკი მორაგბე ეროვნულ ჩემპიონატში ბურთაობდა და ვერც რაიმე ღირებული წარმატებით დაიკვეხნიდა.***

***არავინ იცის, ვინ იჭნებოდა დავით ბოლქვაშვილი დღეს, რომ არა ეროვნული ნაკრების ფრანგი თავკაცი კლოდ სორელი. მუსიე კლოდმა იგი საქმეში ნახა, მასში პოტენცია დაინახა, ბევრი არ უფიქრია და უმალ საფრანგეთში უკრა თავი. მას შემდეგ ორი წელი გავიდა, დავით ბოლქვაშვილი კი საქართველოს ნაკრების უცვლელი წევრი გახდა. ასაკის მიუხედავად (იგი ჯერ მხოლოდ 22 წლისაა), ცხრა სანაკრებო კეპი მოიხვეჭა და ერთი ლელოც გაუტანა პორტუგალიელებს წლევანდელ ევროპის „ერთა თასზე“.***

***ხშირად გულშემატკივარი კითხულობს: ვინ არის ეს ბიჭი? საიდან მოვიდა? სად თამაშობს? ზოგისთვის ნაცნობი, ზოგისთვის კი უცნობი დავით ბოლქვაშვილი ხომ უცაბედად შემოიჭრა ბორჯღალოსანთა რიგებში. წაიკითხეთ ეს ინტერვიუ და ყველაფერი ნათელი გახდება.***



გაფარი კოთოლაშვილის ფოტო

— რაგბის თამაში თოთხმეტი წლისამ დავიწყე „უნივერსიტეტში“. ექვსი წელი ამ გუნდის ერთგული ვიყავი, სანამ კლოდ სორელმა საფრანგეთში არ წამიყვანა. მისი რეკომენდაციით იქაური ჩემპიონატის „ნაციონალ 2“-ში მოასპარეზე ლილის უნივერსიტეტის სარაგბო გუნდში მოვეწყვე დღემდე ამ გუნდში ვირიცხები.

**— ახალგაზრდა და გამოუცდელი მორაგბისთვის ურიგო ვარიანტი არ უნდა ყოფილიყო.**

— დიახ. აქ გატარებული ორი წელი ძალიან წამადგა. ტაქტიკური და ფიზიკური მომზადება საგრძნობლად გავიუმჯობესე. კლუბს ნორმალური ბაზა გააჩნია, პირობებიც კარგი შეგვიქმნეს. ვარჯიშის მეტს არაფერს ვაკეთებდი.

**— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ეროვნული ნაკრების წევრისთვის „ნაციონალ 2“-ში თამაში ცოტა უხერხული ხომ არ არის?**

— მართალი ხარ. მეც ვგრძნობ, რომ უფრო ძლიერ ლიგაში შემიძლია თამაში. „ლილი“ ტრამპლინად გამოვიყენე. სულ მალე კლუბსაც შევიცვლი.

**— გადაწყვეტილი საქმეა?**

— ასი პროცენტით. კლოდ სორელი ჩამომაკითხავს და, ალბათ, ათ დღეში „ელიტ 2“-ის გუნდთან დავდებ კონტრაქტს.

**— რომელ კლუბთან?**

— ეს ჩემთვისაც უცნობია. სორელს ჯერ ყველაფერი არ გაუმხელია. ერთი რამის თქმა კი დანამდვილებით შემიძლია — ჩემთან ერთად ახალ კლუბში ბადრი ხეხელაშვილიც წამოვა, ასე რომ, ორივე ერთად ვიქნებით. ბადრი ახლაც ჩემი თანაკლუბელია, ისევე როგორც ირაკლი მოდებაძე.

**— თვითონ „ლილი“ როგორი გუნდია?**

— ვერ ვიტყვი, რომ ციდან ვარსკვლავებს წყვეტს. ასე რომ იყოს, უფრო მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებდა. ახალგაზრდა მორაგბეებით, ძირითადად სტუდენტებით დაკომპლექტებული ნორმალური გუნდია, რა თქმა უნდა, „ნაციონალ 2“-ის კვალობაზე.

**— სათამაშო პრაქტიკის არქონას ხომ არ უჩივი?**

— არა. ეს პრობლემა არ მაწუხებს. მეც, ბადრი ხეხელაშვილიც და ირაკლი მოდებაძეც სულ ძირითად შემადგენლობაში ვთამაშობთ. მწვრთნელიც გვაქებს და კმაყოფილია ქართული სამეულით.

**— შენი და ხეხელაშვილის წასვლა ნამდვილად არ გაუხარდებოდა...**

— ეგრეა. არ უნდა, რომ „ლილი“ დავტოვოთ, მაგრამ თვითონაც იცის, რომ ეს პროცესი გარდაუვალია. ამბობს კიდეც, თქვენს წასვლას შევეჩვიე, უბრალოდ, გული მწყდება, კარგ მორაგბეებს რომ ვკარგავო.

**— ლილში სამი ქართველი ხართ ერთად. მოსაწყენად არ გეცლებათ...**

— არა, ვინ მოგაწყენს. სამივე ერთად დავდივართ. აქ უამრავი გასართობი ადგილია. თავისუფალ დროს ვიკრიბებით და სასეირნოდ მივდივართ. ესენი რომ არ იყვნენ, ძალიან გამიჭირდებოდა. პირველი წელი მარტო ვიყავი, ცოტა მაკლდა და გავგიჟდებოდი.

**— ვიკრიბებითო, თქვა. რა, ერთად არ ცხოვრობთ?**

— არა. კლუბმა სამივეს ცალ-ცალკე გვიქირავა ბინა.

**— ანაზღაურება როგორი გაქვთ?**

— ნორმალური, ყოველ შემთხვევაში, სახარჯო ფული არ გვიჭირს.

**— ლილი როგორი ქალაქია?**

— დიდი ქალაქია. ძირითადად თავისი უნივერსიტეტით, კოლეჯებითა და სხვა სახის სასწავლო დაწესებულებებით არის ცნობილი. შეიძლება ითქვას, დიდი სტუდენტური ქალაქია, ახალგაზრდობითაა სავსე.

**— რაგბის თამაშის პარალელურად, ლილის უნივერსიტეტში სწავლა ხომ არ გიცდია, მით უმეტეს, ამ უნივერსიტეტის რაგბის კლუბში ირიცხები.**

— ერთი წელი ვსწავლობდი სამედიცინო ფაკულტეტზე, მაგრამ ვერ ვასწრებდი და სწავლას თავი დავანებე. ენობრივი ბარიერი ვერ დავძლიე. თანაც რაგბი და სწავლა ერთმანეთს ვერ შევუთავსე.

**— რატომ? როგორც ვიცი, ფრანგულს მშვენივრად ფლობ...**

— ეს სალაპარაკო ფრანგული ვიცი, თორემ ლიტერატურული თურმე არ მცოდნია. მეც მეგონა, რომ იოლად დავძლევდი პროგრამას, მაგრამ არ გამომივიდა. რაც შეეხება რაგბისა და სწავლის შეუთავსებლობას, მართალია, უნივერსიტეტში შეღავათები მქონდა, მაგრამ ბოლოს გადავწყვიტე, ერთი საქმე მეკეთებინა და მთლიანად რაგბიზე გადავერთე.

**— მოდი ახლა, შენს სანაკრებო კარიერაზეც ვთქვათ. ორიოდ წლის წინ, სრულიად უცნობი, კლოდ სორელმა ნაკრებში გიხმო. შენი აზრით, რით დაიმსახურე ასეთი ნდობა?**

— არ ვიცი. ეს კლოდ სორელს უნდა ჰკითხოთ. ალბათ, რაღაც დაინახა ჩემში, თორემ ნაკრებში ტყუილად არავინ გამოგიძახებს.

**— ნაკრებში შენი დებიუტი თუ გახსოვს?**

— როგორ არა. ორი წლის წინ, 26 იანვარს, იტალიის ქალაქ ლივორნოში ამხანაგურად გავეჯიბრეთ იტალიის ნაკრებს. მართალია, ის შეხვედრა დიდი სხვაობით, 5:67 წავაგეთ, მაგრამ ურიგოდ არ მითამაშია. თავიდანვე ძირითადში დამაყენა სორელმა. მაშინ 20 წლის ვიყავი.

**— საკმაოდ ახალგაზრდას მოგიწია ქვეყნის პირველ გუნდში თამაში. ფსიქოლოგიურად ხომ არ გაგიჭირდა?**

— თავიდან მართლაც ძნელი იყო, მაგრამ ნელ-ნელა შევეჩვიე და ყოველგვარი კომპლექსებისგან გავთავისუფლდი. ამაში ვეტერანები დამეხმარნენ.

**— სიტყვამ მოიტანა და როგორი დამოკიდებულება გაქვს ვეტერანებთან?**

— სიტყვებით ვერ გადმოგცემთ, როგორ მიყვარს ყველა. გამოცდილი მორაგბეები გვერდში მედგნენ და დღესაც ყველანაირად ცდილობენ, დამეხმარონ. თუ რაიმე არ გამომდიოდა, მამხნევებდნენ, ერთი აუგი არ დასცდენიათ ჩემზე. დღეს საუკეთესო მეგობრები ვართ. ისინი რომ არა, საქართველოს ნაკრები წარმატებებს ვერ მიაღწევდა.

**— მარშან შეცვლებზე გიწევდა თამაში, წლეულს მუდამ ძირითადში ხვდებოდი და „ერთა თასზე“ უკლებლივ ყველა მატჩშიც მიიღე მონაწილეობა.**

— ორი წლის მანძილზე, როგორც მორაგბე, საგრძნობლად გავიზარდე. შარშან ნაკრებს ვეჩვეოდი, სორელიც მაკვირდებოდა და როცა ჩათვალა, რომ ჩემი დროც მოვიდა, ძირითადშიც მანდო ადგილი.

**— პორტუგალიელებს შენ პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ლელო გაუტანე.**

— ვერ წარმოიდგენ, როგორ გავიხარე მაშინ. ქვეყანა ჩემი მეგონა. ლელოს გატანით მადლობა გადავუხადე ყველას, ვინც გვერდში მიდგას და მენდობა.

**— საქართველოში როდის აპირებ ჩამოსვლას?**

— ივნისის დასაწყისში. ამ დროისთვის შვიდკაცა რაგბიში ტურნირები იწყება, რომლებშიც საქართველოს ნაკრებიც იასპარეზებს. სორელმა შვიდკაცა ნაკრებშიც გამომიძახა.

**ბაჩო სვანიძე**



2000 წლის 17 თებერვალი. საქართველო — პორტუგალია.
დავით ბოლქვაშვილს ჯერჯერობით ერთადერთი სანაკრებო ლელო გააქვს



# მეექვსე მაკკიმ პირველი მოიმკო

**ამ სამშაბათს** კიდევ ერთი პრიზის მფლობელი გაირკვა. „ფილადელფია სიქსერზის“ უკანახაზელი აარონ მაკკი სეზონის საუკეთესო მეექვსე მოთამაშედ დაასახელეს. ესე იგი საუკეთესოდ მათ შორის, რომლებიც, ჩვეულებრივ, თამაშს სასტარტო ხუთეულში არ იწყებენ და შეხვედრაში მოგვიანებით ერთვებიან. 124 ამერიკელ და კანადელ კალათბურთზე მწერალი ჟურნალისტიდან ფილადელფიელს 57-მა მისცა ხმა. „მილუოკი ბაქსის“ სათადარიგო ფრთა ტიმ ტომასს 27 ხმა და მეორე ადგილი ერგო. ათი ხმით მესამე ადგილი დაიკავა მინესოტელმა ლაფონსო ელისმა. გამოკითხვამ ბევრი გააკვირვა. მრავალის აზრით, მეხუთე ადგილზე გასული ინდიანელი ტრევის ბესტი (5 ხმა) და მეექვსეადგილოსანი რუბენ პატერსონი (სიეტლი, 4 ხმა) უფრო მეტ ხმას და უკეთეს ადგილს იმსახურებდნენ, მილუოკელ ტიმ ტომასს კი ჯილდოს მფლობელად ლამის წინასწარ აღიარებდნენ, თუმც გამოკითხვამ პირველობა მაკკის არგუნა. ეს მისი პირველი ტიტულია.

მაკკი უნივერსალური უკანახაზელია, ბურთის გათამაშებაც შეუძლია და სროლაც, ძლიერია დაცვაშიც. „ფილადელფიაში“ იგი ცვლის როგორც მსროლელ ალენ აივერსონს, ასევე გამთამაშებელ ერიკ სნოუს და საკმაოდ დიდხანსაც უწევს მოედანზე ყოფნა — მატჩში საშუალოდ 31,5 წუთი. უქმად არაა, საშუალოდ 11,6 ქულას, 5,0 პასს, 4,1 მოხსნას და 1,39 ჩაჭრას აკეთებს. მის შვიდწლიან კარიერაში ოთხივე მაჩვენებელი სარეკორდოა. ერთი სიტყვით, იგი საუკეთესო სეზონს ატარებს და მისთვის ეს ჯილდოც ალალია. ორ იანვარს იგი კვირის საუკეთესო მოთამაშედაც დაასახელეს მას შემდეგ, რაც მან „ფილადელფიას“ კვირის სამივე თამაში მოაგებინა, თავად კი საშუალოდ მატჩში 22,3 ქულა, 8,7 პასი და 6,0 მოხსნა მოიხვეჭა. ამ სამიდან ერთერთ თამაშში მან კარიერის პირველი სამმაგი დუბლიც შეასრულა.



აარონ მაკკი

## თურქეთი

**პლეი ოფი**

I წრე (სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| **ბეშიქთაში** | **3** |
| **ქარშიაკა** | **1** |

**ბეშიქთაში 80:71 ქარშიაკა**

მეოთხედფინალი (ოთხ მოგებამდე)

**ულქერი — გალათასარაი**
*სერია იწყება ანგარიშით 1:1*

**ეფესი — ბეშიქთაში**
*სერია იწყება ანგარიშით 1:0 ეფესის სასარგებლოდ*

**დარუშაფაკა — ტრო**
*სერია იწყება ანგარიშით 1:0 დარუშაფაკას სასარგებლოდ*

**ტელეკომი — ფენერბაჰჩე**
*სერია იწყება ანგარიშით 1:1*

*მეოთხედფინალი დაიწყება 14 მაისს*

ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA. პლეი ოფი. მეორე წრე (ოთხ მოგებამდე)

# კასელმა მწვრთნელი აათამაშა




მილუოკი — შარლოტა. მილუოკელი დერვინ ჰემი ჯამალ მაშბურნს გადაელობა

**ამოსავლეთი**

8 მაისი

| | |
|---|---|
| მილუოკი | 2 |
| შარლოტი | 0 |

**მილუოკი 91:90 შარლოტი**

**მილუოკი: ალენი (28 ქულა, 9 პასი), რობინსონი (19), ტომასი (12)**

**შარლოტი: ვესლი (20), მაშბურნი (19), ბრაუნი (19 ქულა, 11 მოხსნა), კემპბელი (13)**

სემ კასელი „მილუოკი ბაქსის" გამთამაშებელი გახლავთ და „შარლოტ ჰორნეთსს" სერიის პირველ თამაშში ოცი ქულა ჩაუგდო. თითქოს ურიგო შედეგი არ უნდა იყოს, მაგრამ გუნდის დამრიგებელი ჯორჯ კარლი შეგირდის თამაშით სულაც არ დარჩენილა კმაყოფილი და ნამატჩევს უთქვამს, გამთამაშებელი გუნდის თავკაცია მოედანზე და მის თამაშს აბალანსებს, სემისგან კი დღეს ასეთი ვერაფერი დავინახე, თან დაცვაში კაპიკის საქმე არ გაუკეთებია, რის გამოც შარლოტელმა ბაირონ დევისმა თავის ნებაზე იპარპაშაო. კასელს ცხელ გულზე წამოსცდენია, ერთი თვითონ გავიდეს მოედანზე და რასაც ჩემგან ითხოვს, თავად გააკეთოსო. მის სულელურ ნათქვამს შეიძლებოდა საქმე გაერთულებინა. ბატონი ჯორჯ კარლი მკაცრი მწვრთნელია და ესეც რომ არა, რაღა დროს ამ დროული კაცის მოედანზე გასვლაა. მაგრამ კარლმა მდგომარეობა არ გაამწვავა, პირიქით, მოთამაშის დონეზეც დაეშვა.

რაოდენ დიდი გახლდათ მილუოკელთა გაოცება, როდესაც 8 მაისს, სერიის მეორე თამაშის დღეს, დილის ვარჯიშზე „ბაქსის" ორმოცდაათ წელს მიტანებულმა მწვრთნელმა კასელს ერთი-ერთზე წაბურთავება შესთავაზა. ყველამ გაკვირვებისგან პირი დაალო, მაგრამ როდესაც კარლმა ნათქვამი გაიმეორა, მაშინ კი დათანხმდა კასელი. „სემი მსუბუქად მეთამაშა, მითხრა, ბევრ ჯარიმას იკიდებ და უხეშად თამაშობ" — თქვა კარლმა მოგვიანებით.

კასელს ამ ღლაბუცში ძალა არ დაუხარჯავს, მთელ ენერგიას საღამოსთვის ინახავდა. საღამოც დადგა, თამაშიც დაიწყო და გასრულდა, სემს კი საამმატჩო ყულაბაში ოდენ რვა ქულა, ხუთი პასი და თამაშიდან სროლების ჩაგდების 25 პროცენტი (16 სროლიდან 4) მოუგროვდა. მაგრამ რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ამჯერად კარლი მისით ბევრად კმაყოფილი გახლდათ, ვიდრე ორი დღის წინ. მართალია, სტატისტიკა ამის საწინააღმდეგოდ მეტყველებს, მაგრამ კასელს სულაც არ უთამაშია ურიგოდ, განსაკუთრებით კი საკუთარ ნახევარზე. ფაქტობრივად, მან ხელი არ გაანძრევინა მეურვე ბაირონ დევისს. ეს კალათბურთელი პლეი ოფში განსაკუთრებით ნაყოფიერად ირჯება, წინა ოთხ მატჩში საშუალოდ 19,8 ქულა და ბევრი პასი გააკეთა, მაგრამ ამ შეხვედრაში მისმა მონაგარმა მხოლოდ ოთხი ქულა შეადგინა. ამასთან, დევისს თამაშიდან ბურთი არ ჩაუგდია, ვერც პასები ჩამოურიგა თავისიანებს და „შარლოტიც" პირველივე წუთებიდან აირია.

„მილუოკის" შეტევებს კი კასელის ნაცვლად მსროლელი რეი ალენი უძღვებოდა, რომელმაც სროლასთან ერთად გამთამაშებლის ფუნქციაც შეითავსა და აკი მოაგროვა კიდეც ცხრა პასი, რაც მისი საპლეიოფო კარიერის რეკორდია. „მილუოკიც" თანდათან მოსწყდა მეტოქეს და უკვე პირველი ნახევრის ბოლოს 16-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა. მასპინძლები თავს ჩინებულად გრძნობდნენ მესამე მეოთხედის ბოლომდე, როცა ტრადიციული ჩავარდნა დაეწყოთ. ამ თორმეტწუთეულის მიწურულს სტუმართა თავკაცმა პოლ საილასმა ბურთის გათამაშება დევისის ნაცვლად დევიდ ვესლის დაავალა და ისიც უთხრა, ბურთი კემპბელისა და მაშბურნის ნაცვლად ჩვეულებრივ შავი სამუშაოს შემსრულებელი ფიჯეი ბრაუნისთვის მიეწოდებინა. ბრაუნ-ვესლის დუეტმა მოედანზე ცეცხლი დაანთო და „შარლოტმა" მესამე მეოთხედის მიწურული და მეოთხეს დასაწყისი 20:8 მოიგო. ამ ოცი ქულიდან ათი ბრაუნის ანგარიშზეა. „შარლოტიც" ბოლო მეოთხედის მეორე წუთზე 66:68 დაუახლოვდა მეტოქეს. აქ „მილუოკიც" გამოფხიზლდა, მეტოქეს რეი ალენის ორი და ტიმ ტომასის ერთი სამქულიანით უპასუხა და 77:68 დაწინაურდა. „კრაზანებმა" კიდევ ერთხელ გაიბრძოლეს და საფინალო სირენამდე 27 წამით ადრე ბრაუნმა ერთ ქულამდე დაიყვანა სხვაობა — 91:90. მასპინძლებმა ბოლომდე გამოიყენეს შეტევისთვის განკუთვნილი დრო და გლენ რობინსონმა ხუთი წამით ადრეღა ესროლა. მართალია, ააცილა, მაგრამ ბურთი მისმა თანაგუნდელმა ერვინ ჯონსონმა (2 ქულა, 12 მოხსნა) მოხსნა და დროც მიილია.

„მილუოკიმ" ტკბილად შეირგო მოედნის უპირატესობა, სერიაში 2:0 დაწინაურდა და ახლა შეეცდება, შარლოტში გასამართი მომდევნო ორი მატჩიდან თუნდაც ერთი აართვას მეტოქეს.

**დასავლეთი**

| | |
|---|---|
| ლეიკერსი | 2 |
| საკრამენტო | 0 |

**ლეიკერსი 96:90 საკრამენტო**

**ლეიკერსი: ონილი (43 ქულა, 20 მოხსნა), ბრაიანტი (27)**

**საკრამენტო: ვებერი (22 ქულა, 18 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (20), ჯექსონი (14)**

„საკრამენტო კინგზი" ცუდი გუნდი არაა, წინააღმდეგ შემთხვევაში პლეი ოფის ამ ეტაპზე ვერ მოხვდებოდა. არც მისი ცენტრი ვლადე დივაცია ურიგო მოთამაშე, იგი ბოლო ათი წელია, ნბა-ს უძლიერეს ცენტრთა ათეულში შედის. მაგრამ „საკრამენტო" არ ჩანს „ლეიკერსის" მძლეველი, შაკილ ონილმა კი მეტი რაღა უნდა უყოს დივაცს.

ჩემპიონი „ლეიკერსი" აგრძელებს ტრიუმფალურ სვლას და რვა მაისს ზედიზედ მეცამეტე გამარჯვება (რეგულარული სეზონის ჩათვლით) ჩაიწერა. „საკრამენტო" ყოჩაღად იბრძვის, პირველი მატჩი მხოლოდ სამი ქულით დათმო, მეორე — ექვსით, მაგრამ თუ შაკილ ონილს რაიმე არ მოუხერხეს, „მეფეები" ლოსანჯელესელებს კინკილა გამარჯვებასაც ვერ გამოსტყუებენ. წინა შეხვედრაში ონილმა 44 ქულა და 21 მოხსნა მოიხვეჭა და მეურვე დივაცი ექვსი პერსონალურით თამაშიდან გააგდო. ამჯერად იგი თითო-თითო ქულა-მოხსნით ნაკლებს „დასჯერდა" და დივაციც ბოლომდე შემორჩა მოედანს, მაგრამ იმ დღეს მის ყოფნა-არყოფნას აზრი არ ჰქონდა. სახელოვანმა იუგოსლავიელმა ხუთი ქულა და ორი მოხსნა იკმარა შაკთან ბრძოლაში.

ონილი პირველივე წამებიდან აბობოქრდა და რაც წინ შეხვდა, ყველაფერი წალეკა. მან შეხვედრის პირველ ექვს წუთში ათი ქულა და ექვსი მოხსნა გააკეთა, საწყის თორმეტწუთეულში კი გუნდის 25 ქულიდან და 21 მოხსნიდან შესაბამისად 14 და 11 მისი გახლდათ, „ლეიკერსმაც" მეოთხედი 25:15 მოიგო. „მეფეები" დროულად მოეგნენ გონს. თავისიანებს კრის ვებერი წაუძღვა, რომელიც რამდენიმე დღეში შაკილ ონილს (და სხვებს) სეზონის უძვირფასესი მოთამაშის წოდებაში შეეცილება. მას სხვებმაც აუბეს მხარი და სტუმრებმა ზუსტად იგივე სხვაობით მოიგეს მეორე მეოთხედი, როგორც პირველი „ლეიკერსმა". მეტოქენიც დიდ შესვენებაზე თანაბარი ანგარიშით 43:43 გაიყარნენ. „საკრამენტოს" გამოფხიზლებამ მაყურებელს დაძაბული თამაშის იმედი ჩაუსახა, მაგრამ მეორე ნახევარი სულ სხვაგვარად წარიმართა. მასპინძლები შაკის მეთაურობით ზვავივით დაატყდნენ თავს მეტოქეს. კობი ბრაიანტმა ხუთი ქულა დააგროვა, ონილმა — ოთხი და მასპინძლებმა მესამე მეოთხედი 11:2 გაქცევით გახსნეს, მოგვიანებით ერთი მონაკვეთი კიდევ 14:5 მოიგეს და მესამე მეოთხედი რომ მიიწურა, ტაბლო 74:56 უჩვენებდა. ძალიან ბევრი სროლა გააფუჭა კრის ვებერმა, ის და მისი ორი იუგოსლავიელი შემწე — სტოიაკოვიჩი და დივაცი ცოტა ხნით შეცვალეს, მაგრამ უშედეგოდ.

„საკრამენტომ" მაინც გაიბრძოლა ბოლო მეოთხედში, მატჩის დამთავრებამდე რვა წამით ადრე სტუმარმა ჯონ ბერიმ სამქულიანით ოთხ ქულამდე შეამცირა სხვაობა — 90:94, მაგრამ სტუმრებმა მეტი ველარ შეძლეს. კობი ბრაიანტმა ორი საჯარიმოთი მატჩს წერტილი დაუსვა.

„ლეიკერსი" 2:0 დაწინაურდა სერიაში, ანუ ნახევარი საქმე გაიკეთა. საკრამენტოელები კი შარშანდელს იგონებენ, როცა პირველ წრეში შინ ორი თამაში მოუგეს „ლეიკერსს" და სერიაში ანგარიში 2:2 გაათანაბრეს. ახლაც ბრძოლა საკრამენტოში გაგრძელდება, იქ კი „მეფეებს" წლეულს სულ ცხრაჯერ წაუგიათ.

**ირაკლი ფირცხალავა**




ლეიკერსი — საკრამენტო. კობი ბრაიანტი (ბურთით) საკრამენტოელი დუგ კრისტის წინააღმდეგ

სარბიელი
**სპორტული ლატარია**

CROCO

BOOKMAKERS
**კროკო**

*ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.*

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| **თბილისი** | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | აღმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| **ქუთაისი** | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| **გორი** | სტალინის ქუჩა №30 | ჭადრაკის კლუბი |
| **თელავი** | კოსტავას ქუჩა №23 | |
| **რუსთავი** | შარტავას ქუჩა №7 | |
| **ბათუმი** | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №61 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| **მარნეული** | რუსთაველის ქუჩა №39 | |

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

① ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ

② შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება

③ შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)

④ მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში

⑤ წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი

⑥ არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიეებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

NHL. სტენლის თასი. მეორე წრე (ოთხ მოგებამდე)

# კალინინის მირთმეული

8 მაისი

| აღმოსავლეთი | |
|---|---|
| პიტსბურგი | 3 |
| ბუფალო | 3 |

**პიტსბურგი 3:2 ბუფალო (0:1 1:1 1:0 1:0)**

**0:1 აფინოგენოვი 10 (2), 1:1 კოვალიოვი 26 (4), 1:2 ოდეტი 36 (3), 2:2 ლემიე 59 (6), 3:2 სტრაკა 72 (3)**

სასწაულები ხდება, მთავარია, გჯეროდეს. პირთამდე გავსებულ „მელონ არენაზე" მესამე მესამედის მიწურულს, ალბათ, არავის ეგონა, რომ პიტსბურგი შეძლებდა მატჩის გადარჩენას. არა, ანგარიშში სხვაობა იმ მომენტისთვის მხოლოდ მინიმალური იყო და არც გოლის გატანა ყოფილა ძნელი. მაგრამ გუნდს თამაში არა და არ გამოსდიოდა. მთელი პერიოდის განმავლობაში მასპინძლები ამაოდ ცდილობდნენ მეტოქის მიერ გონივრულად აგებული დაცვის დაძლევას და მათი შეტევები მოედნის შუაგულში იხშობოდა. მარიო ლემიესა და იარომირ იაგრსაც სახეზე უკვე უიმედობა ეწერათ, მაგრამ სასწაული მოხდა. „პინგვინებმა" მეკარე იოჰან ჰედბერგი მეექვსე მოთამაშეზე შეცვალეს, შაიბის ჩაგდება მოიგეს და ალექსეი კოვალიოვმა ის კარისკენ გაგაზავნა. ის, რაც მერე მოხდა, ბუფალოელებს კარგა ხანს არ დაავიწყდებათ. შაიბა ვილაცის ყვანჯიდან ასხლტა, ჰაერში აფრინდა და მცველებისა და ჰაშეკისდა საუბედუროდ, რომლებმაც იგი თვალთახედვიდან დაკარგეს, პირდაპირ კართან დავარდა. სანამ სტუმრები რაიმეს მოიფიქრებდნენ, მარიო ლემიემ ყველას დაასწრო და გაოგნებულ მეკარეს შაიბა ფეხებშუა გაუძვრინა. თამაში დამატებით დროში გადავიდა და ისევე, როგორც წლევანდელი ოვერტაიმების უმრავლესობა, დიდხანს არ გაჭიანურებულა. მართალია, ორივე გუნდი უფრო საკუთარი კარის დაცვაზე ზრუნავდა და ძალიან ფხიზლობდა, პირველივე შეცდომა საბედისწერო გამოდგა. ბუფალოელმა დმიტრი კალინინმა საკუთარი კარის უკან შაიბა დაკარგა და პიტსბურგის მეორე სამეულის ელვისებური კომბინაციის შემდეგ მასპინძელთაგან ყველაზე აქტიურმა მარტინ სტრაკამ საბოლოო წერტილი დასვა.

რაღა გვეთქმის, სუპერმარიომ სიტყვა შეასრულა და პიტსბურგს ნახევარფინალში გასვლის შანსი აჩუქა. მას შემდეგ, რაც პარტნიორი იარომირ იაგრი და მწვრთნელი ივან ჰლინკა გააკრიტიკა, მან გაიხსენა, რომ ახლა უფრო გუნდის მოთამაშეა, ვიდრე მფლობელი და მატჩისწინა ინტერვიუში მთელი პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო. თქვა და იხსნა კიდეც გუნდი, არადა, ეს გოლი რომ არ გაეტანა, ალბათ, სწორედ იგი იქნებოდა წაგებაში მთავარი დამნაშავე. წარმოუდგენელია, მაგრამ მარიომ ორი ბრწყინვალე მომენტი ვერ გამოიყენა მაშინ, როცა ანგარიში 0:1 იყო და ყველაფრის გამოსწორება თავიდანვე შეიძლებოდა. თუმცა პიტსბურგი მაინც ნაკლებად იმსახურებდა მოგებას. მასპინძლები მხოლოდ ერთხელ, მეორე პერიოდის დასაწყისში სჯობდნენ მეტოქეს და ჰაშეკიც ძალიან შეაწუხეს. დანარჩენ დროს კი ბუფალო უკეთ გამოიყურებოდა, ხოლო მესამე მესამედში აუღელვებლად და საიმედოდ იცავდა იმ უპირატესობას, რომელიც დონალდ ოდეტის შაიბამ მოუტანა.

პიტსბურგისთვის შარშანდელი კოშმარი აღარ განმეორდება, როცა „პინგვინები" ფილადელფიასთან სერიაში 2:0 იგებდნენ, მაგრამ შემდეგ ზედიზედ ოთხი მატჩი წააგეს. ისიც გავიხსენოთ, რომ აქამდე ბუფალო სერიას ამ ანგარიშით 15-ჯერ აგებდა და ვერც ერთხელ ვერ შეძლო მისი მოგება.

**სამველ ღარიბიანი**



მარიო ლემიეს ამ გოლმა მისი „პიტსბურგი" პლეი ოფიდან გავარდნისგან იხსნა


# იყიდება

ოროთახიანი სუფთა ბინა 30 კვ. მ. მიშენებით.

დიღმის მასივი, IV კვარტალი, მე–19 კორპუსი,

პირველი სართული. ფასი შეთანხმებით

**ტელ: 397 198. 959 032.**

**8 77 428283**




მსოფლიოს ჩემპიონატი (გერმანია)



გერმანია — რუსეთი. რუსთა ფორვარდი პაველ დაციუკი (№14) მოვლენათა ცენტრში

# ფინეთმა გერმანია დაიჯახა

**მსოფლიოს** ჩემპიონატის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპიც დასრულდა. რვა მეოთხედფინალისტი უკვე ცნობილია და დღეს იწყება პლეი ოფი, სადაც ყველა შეცდომა საბედისწეროა, მისი გამოსწორების საშუალება არც ერთ გუნდს აღარ ექნება, რადგან მეოთხედფინალში, ნახევარფინალსა და ფინალში თითო თამაში შედგება. მანამდე როგორ ითამაშეს გუნდებმა, აღარავის აინტერესებს. მთავარია, რას შეძლებენ პლეი ოფში. თუმცა თუ მაინც გადავავლებთ თვალს იმას, რაც 4-8 მაისს მოხდა, ეგებ იმაშიც გავერკვეთ, დღეიდან რა გველის.

განსაკუთრებულ სენსაციებს ადგილი არ ჰქონდა. პლეი ოფში ის გუნდები გავიდნენ, რომელთაგანაც ამას ელოდნენ. ერთადერთი მოულოდნელობა ალბათ გერმანელთა წარმატება იყო, თუმცა მათ საამისოდ პირველივე ეტაპზე გადადგეს გადამწყვეტი ნაბიჯები და მეორე რაუნდში მოპოვებული ქულა (3:3 კანადასთან) საკმარისი აღმოჩნდა ამისათვის.

გერმანელები E ჯგუფში ასპარეზობენ, სადაც ორი ნაკრები — კანადა და ჩეხეთი აშკარად სჯობნიდნენ ყველას. მათ საკვალიფიკაციო ეტაპის პირველივე თამაშებში დაიბევეს პლეი ოფი. კანადელებმა თავიანთი რაციონალური და კომბინაციური თამაშით ყველა გააოცეს. აშკარად ეტყობათ, რომ სერიოზულად მოჰკიდეს საქმეს ხელი. ისინი ჩემპიონატის დაწყებამდე ჩავიდნენ ევროპაში, შემადგენლობა და რგოლები წინასწარ ჩამოაყალიბეს, ამიტომაც გუნდი შეწყობილი იყო, შეთამაშებული. თან კანადელთათვის ჩვეულ ჟინსა და ძალისმიერი ჰოკეისადმი მიდრეკილებას ლამაზად და გონივრულად გათამაშებული კომბინაციებიც ემატებოდა. ადრე კი უფრო ინდივიდუალური ოსტატობის იმედად იყვნენ-ხოლმე. ამის დასტურად ერთი ეპიზოდი გავიხსენოთ ჩეხებთან წაგებული თამაშიდან: კართან ხელსაყრელ პოზიციაში ჯეფ ფრიზენი აღმოჩნდა. სხვა დროს იგი ასი ამგვარი შემთხვევიდან ასშივე დაარტყამდა, მაგრამ ამჯერად პასი ამჯობინა.

ჩეხებიც თანდათან აუმჯობესებენ თამაშს. მეორე ეტაპზე მათ ქულა არ დაუკარგავთ (ერთადერთი გუნდია, რომელმაც ეს შეძლო), თუმცა პირველ თამაშში რუსებთან ერთობ გაუჭირდათ. ისინი 2:0 იგებდნენ, მაგრამ შემდეგ რუსებმა 3 შაიბა შეაგდეს და მათი მეკარის, მიხაილ შტალენკოვის შეცდომა რომ არა, ვინ იცის, რა მოხდებოდა. თავიდან რადეკ დვორჟაკის დარტყმის შემდეგ მეკარემ ფეხებს შუა გაუშვა შაიბა, შემდეგ კი კარში დაბრუნება ვერ მოასწრო, რითაც ირჟი დოპიტამ ისარგებლა. მომდევნო შეხვედრები ჩეხებმა გაცილებით უკეთესად ჩაატარეს, ჯერ იტალია მათთვის სარეკორდო ანგარიშით — 11:0 დაამარცხეს, ბოლო დღეს კი მათ კანადაც მიაყოლეს — 4:2. ჩეხებს ლიდერებიც სანაქებო ჰყავთ — ყოფილი ნჰლ-ელის რობერტ რაიხელის სამეული, სადაც ფრთებზე დვორჟაკი და მონრეალელი მარტინ რუჩინსკი ასპარეზობენ. რაიხელი 10 (4+6) ქულით ბომბარდირთა შორისაც ლიდერობს. დაცვაში ასევე ნჰლ-ელები — პაველ კუბინა და ფილიპ კუბა გამოირჩეოდნენ. კანადასთან მათ 3 გოლი მიითვალეს.

ამ ჯგუფის კიდევ ერთმა მეოთხედფინალისტმა რუსეთმა კი თავის თავსაც დააწყვიტა ნერვები და ქომაგსაც. შვეიცარიასთან გადამწყვეტ თამაშში რუსები 0:1 აგებდნენ და მხოლოდ მაშინ გააქტიურდნენ, როცა შემადგენლობაში გადაადგილებები მოახდინეს. მათ ახალგამომცხვარი სამეულის, კარპოვ-იაშინ-დაციუკის ძალისხმევით მეორე პერიოდში ორი გოლი გაიტანეს. მესამეშიც ფლობდნენ ინიციატივას, მაგრამ მატჩის მიწურულს ბავშვური შეცდომები დაუშვეს და ლამის ქულა დაკარგეს. რუსთაგან ყველაზე მეტად პაველ დაციუკს აქებენ. 22 წლის ცენტრფორვარდი თავისი არასტანდარტული დრიბლინგითა და კარგი პასებით მართლაც გამოირჩევა. რაც მთავარია, სწორედ მისმა პარტნიორობამ გამოაცოცხლა იაშინი.

F ჯგუფშიც არაფერი მომხდარა მოულოდნელი, თუმცა ერთმა გუნდმაც ვერ დააღწია თავი მარცხს. განსაკუთრებულად აშშ-ს ავსტრიასთან მარცხმა (0:3) გააოცა ყველა. ამერიკელები ხომ გაცილებით ძლიერ გუნდებს ებრძოდნენ ღირსეულად — ფინელებსა და სლოვაკებს გაუმკლავდნენ, ავტსაიდერთან კი თავი შეირცხვინეს.

მეოთხედფინალური წყვილები საბოლოოდ შვედებისა და ფინელების თამშმა გაარკვია. სკანდინაველების ორთაბრძოლა ყოველთვის პრინციპულია, ამჯერად კი განსაკუთრებული იმნიშვნელობა ჰქონდა, რადგან გამარჯვებული გუნდი მეოთხედფინალში გერმანიას შეხვდებოდა. მართალია, მასპინძელთან თამაში ყოველთვის ძნელია, მაგრამ გერმანელები ისედაც თავიანთ თავს გადაახტნენ. ისინი ყველაზე სუსტები არიან მეოთხედფინალში. სასურველი მეტოქე ფინელებს ხვდათ წილად. ისინი პირველივე პერიოდში 3:1 დაწინაურდნენ და საბოლოოდ შეინარჩუნეს კიდეც უპირატესობა. არადა, შვედებმა ბოლოს ჟინიანად შეუტიეს. მეკარის მეექვსე მოთამაშეზე შეცვლის შემდეგ ფრედრიკ მოდინმა ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა, მაგრამ მეტისთვის დრო აღარ ეყოთ. ეს მარცხი რომ არა, საერთო ჯამში F ჯგუფში ყველაზე გააზრებული და ძლიერი თამაში შვედებმა აჩვენეს. მათ აშკარად გამოკვეთილი ლიდერები არ ჰყავთ, მაგრამ შეტევის ოთხივე ხაზი საფრთხეს უქმნის მეტოქეს, მეკარე ტომი სალოს კი კლასით ბადალი არ ჰყავს ტურნირზე.

**სამველ ღარიბიანი**

| E ჯგუფი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 4 | 1 | 0 | 24:8 | 9 |
| კანადა | 3 | 1 | 1 | 19:11 | 7 |
| რუსეთი | 3 | 0 | 2 | 16:11 | 6 |
| გერმანია | 1 | 2 | 2 | 10:12 | 4 |
| შვეიცარია | 1 | 0 | 4 | 13:15 | 2 |
| იტალია | 1 | 0 | 4 | 5:30 | 2 |

| F ჯგუფი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ფინეთი | 4 | 0 | 1 | 23:12 | 8 |
| შვედეთი | 3 | 1 | 1 | 25:8 | 7 |
| აშშ | 3 | 1 | 1 | 15:10 | 7 |
| სლოვაკეთი | 2 | 0 | 3 | 12:12 | 4 |
| უკრაინა | 1 | 0 | 4 | 7:21 | 2 |
| ავსტრია | 1 | 0 | 4 | 4:23 | 2 |

**მეოთხედფინალი**

ჩეხეთი — სლოვაკეთი

კანადა — აშშ

შვედეთი — რუსეთი

ფინეთი — გერმანია

ცოტა რამ სხვა მოვლენებზეც: როგორც იცით, პირველი ეტაპის უიღბლოებმა მეცამეტე-მეთექვსმეტე ადგილები გალაითამაშეს. წესდების თანახმად, უმაღლეს დივიზიონს ორი გუნდი ტოვებს, ხოლო იაპონია, როგორც აზიის წარმომადგენელი, ფაქტობრივად უკონკურსოდ მონაწილეობს. ასე რომ, ბრძოლა ერთადერთი საგზურისთვის მიმდინარეობდა და ლატვიელებს გაუმართლათ — მათ შაიბების სხვაობით ბელარუსს აჯობეს.

*ბომბარდირები: რაიხელი (ჩეხეთი) 10 (4+6), ნუმელინი 10 (1+9), ილონენი (ორივე ფინეთი) 9 (3+6), დვორჟაკი (ჩეხეთი) და რენბერგი 7 (3+4), ოტოსონი (ორივე შვედეთი) 7 (3+4), გუსმანოვი (რუსეთი) და ორსაგი (სლოვაკეთი) 7 (2+5), ვირტა (ფინეთი) 7 (1+6)*

## ტაი-ბრეიკი

# მე ლევინსკი არ ვარ

## ანუ რატომ იმალებოდა ჯონ ნიუკომბი

**მსოფლიოს** ყოფილი პირველი ჩოგანი ჯონ ნიუკომბი ყურადღების ცენტრში ყოფნას არასოდეს ერიდებოდა. 60-იანების ბოლოს და 70-იანების დასაწყისში გულღია და ენამახვილი ავსტრალიელი ჟურნალისტთა და ქომაგთა უპირველესი ფავორიტი იყო, თანაც უიმბლდონის ცენტრალური კორტის გარდა ხმაურიან ღრეობებშიც არანაკლებ კომფორტულად გრძნობდა თავს.



შორეული 70-იანები: ჯონ ნიუკომბი ჯორჯ ბუშ უფროსთან ერთად

გასული სეზონის ბოლოს, მოულოდნელად და გაუფრთხილებლად, ნიუკომბი კარგა ხნით დაიკარგა: „მასმედია გამწარებული დამეძებდა, მე კი რამდენიმე დღით ფსკერზე დავწექი, მსოფლიოში სულ სამმა ადამიანმა იცოდა ჩემი ადგილსამყოფელი".

ავსტრალიელის გაუჩინარების მიზეზი მისი ერთი მეგობრის დახმარების სურვილი იყო, რომელიც სწორედ იმ ხანებში აშშ-ის პრეზიდენტობისთვის იბრძოდა. არჩევნებამდე მხოლოდ 5 დღე იყო დარჩენილი, როდესაც ჯორჯ ბუშ უმცროსს მეტოქეებმა ნასვამ მდგომარეობაში მანქანის ტარების ძველი ცოდვა გამოუჩხრიკეს. მაშინვე ისიც გაირკვა, რომ 1976-ში დაპატიმრების ღამეს ბუშთან ერთად ნიუკომბი იმყოფებოდა. ჩოგბურთელზე მაშინვე საყოველთაო ძებნა გამოცხადდა.

„ვერავინ მიპოვა. ალბათ, შემეძლო მომდევნო მონიკა ლევინსკი გავმხდარიყავი, მაგრამ ენას კბილი დავაჭირე — იღიმება 57 წლის ოზი, რომელიც არჩევნებიდან ერთი კვირის შემდეგლა ეჩვენა ხალხს — დიდი არც არაფერი მომხდარა მაშინ, უბრალოდ, ახალგაზრდები გემოზე გავერთეთ, მაგრამ მაინც არ მინდოდა, ათასი კითხვისთვის მეპასუხა. რამდენი კათხა ლუდი დალიეთ? 6 თუ 8? ძალიან დათვერით? ვიცოდი, არ მომასვენებდნენ".

ნიუკომბი აშშ-ის ახლანდელ პრეზიდენტზე მეტად თავიდან მის მამასთან, ჯორჯ ბუშ უფროსთან მეგობრობდა. ავსტრალიელმა 1968-ში ტეხასში უზარმაზარი მიწის ნაკვეთი შეიძინა, რომელიც თანდათან ნამდვილ საჩოგბურთო ცენტრად გადააქცია 28 კორტით, აუზებით და სახლებით. იგი დამსვენებელ — ჩოგბურთის შემსწავლელთათვის არის განკუთვნილი.

თავის დროზე იელის უნივერსიტეტის ვარსკვლავ-ბეისბოლისტი უფროსი ბუში ხშირად სტუმრობდა ნიუკომბისა და მისი მეუღლის, ენჯი პფანენბურგის სახლს. ის მაშინ ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის (CIA) დირექტორი გახლდათ და ერთხელ პირადად დაათვალიერებინა თეთრი სახლი ავსტრალიელს, თანაც ჰენრი კისინჯერი და შინაგან საქმეთა მინისტრიც გააცნო.

რამდენიმეწლიანი მეგობრობის შემდეგ, 1976-ში, ნიუკომბი შტატ მენის ქალაქ კენებუნკროფტში მდებარე ბუშების რეზიდენციაში მიიპატიჟეს. ერთ საღამოს უმცროსმა ბუშმა ავსტრალიელს (რომელსაც უფროსი ბუშის თქმით, „შავი ქამარი ჰქონდა სმაში") ქალაქის ერთადერთ ლუდხანაში წასვლა შესთავაზა. კატასტროფას არაფერი მოასწავებდა.

„რამდენიმე საათი დავყავით იქ, დაახლოებით 6-7 კათხა ლუდი დავლიეთ, კარგი დრო გავატარეთ და შინ დაბრუნება გადავწყვიტეთ. ჩვენთან ერთად ენჯი და ჯორჯის და დოროთიც იყო. საჭესთან ჯორჯი დაჯდა და ძალიან ნელი სვლით წაიყვანა მანქანა. ეტყობა, ადგილობრივი პოლიციელი სპეციალურად უდარაჯებდა ხალხს, რომლებიც ლუდხანიდან გამოდიოდნენ. მან გაგვაჩერა და ჩვენს ნაყლაპ მძღოლს გავლა-გამოვლა მოსთხოვა. ჯორჯმა ტესტი, რაღა თქმა უნდა, ჩააფლავა" — იხსენებს ნიუკომბი.

„ჯორჯს წინააღმდეგობის გაწევა არც კი უფიქრია, არც სცენა გაუმართავს და მამის სახელი უხსენებია, როდესაც იჭერდნენ. მაგრამ თქვენ იმ პოლიციელის სახე უნდა გენახათ, როდესაც გაიგო, ვინც დააკავა. როგორც კი მიხვდა, რომ CIA-ს დირექტორის შვილი გამოიჭირა, საშინლად გაფითრდა და განერვიულდა".

უმცროსმა ბუშმა 150-დოლარიანი ჯარიმა გადაიხადა, დანაშაულიც აღიარა და მხოლოდ რამდენიმე თვით ჩამოართვეს მართვის მოწმობა. მამამ, ასევე მომავალმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა, შვილს ერთი დაუცაცხანა, იმედია, ეს ჭკუას გასწავლისო, თუმცა მომხდარის დამალვა ან „კრიმინალური წარსულის" ამოშლა არ უცდია.

„მერე წლების მანძილზე ვეხუმრებოდი ჯორჯს, როცა რაიმე მნიშვნელოვან პოსტზე დააპირებ კენჭის ყრას, ფრთხილად იყავი, ყველას მოვუყვები იმ ღამის შესახებ-მეთქი. ისე, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ იმ უწყინარი ინციდენტისგან ამხელა სკანდალს გაბერავდნენ".

გეორგაფიისა და ქვეყნის მართვის შესახებ რა მოგახსენოთ, მაგრამ უმცროსმა ბუშმა ის მაინც ისწავლა, რომ ავსტრალიელებთან სმაში გაჯიბრება ხეირს არ დააყრიდა და იქიდან მოყოლებული, შარში აღარც გახვეულა.

# ქალები უ-თავ-კაცოდ

**WTA ტურის თავკაცი ბარტ მაკგუაიარი წლის ბოლოს თავის თანამდებობას დატოვებს. ქართველი ჩინოვნიკებისგან განსხვავებით, ამერიკელს ამ მნიშვნელოვან პოსტზე ყოფნის დროს არაფერი დაუშავებია, პირიქით, ქალთა ჩოგბურთის წინსვლაში საკმაო წილი დაიდო. ის გადადგომის მიზეზად პირად და ოჯახურ პრობლემებს ასახელებს.**

**59 წლის მაკგუაირი 12 წლის მანძილზე იყო WTA-ს მრჩეველი, სანამ ჰოლივუდში პროდიუსერობას საბოლოოდ შეეშვებოდა და 1998-ში ქალთა ტურის აღმასრულებელ დირექტორობაზე დათანხმდებოდა. ამ ხნის განმავლობაში მან უამრავი სპონსორი მიიზიდა, ამერიკულ და ევროპულ ტელეკომპანიებთან მეტად ხარფიანი კონტრაქტები გააფორმა და ტურის შემოსავალ-საპრიზოები მნიშვნელოვნად გაზარდა. პროფესიით იურისტი იანკი დაჟინებით მოითხოვდა დიდი სლემის ტურნირებზე ქალებისა და კაცებისთვის თანაბარი მწვანეების გამოყოფას და ავსტრალიის ღია პირველობის ორგანიზატორები დაითანხმა კიდეც.**

**მაკგუაიარის დამსახურებაა ისიც, რომ სეზონის დამაგვირგვინებელი მსოფლიოს ჩემპიონატი ნიუ იორკიდან მიუნხენში გადაბარგდა, რითაც სათამაშო კალენდარი ორი კვირით შემცირდა და ჩოგბურთელებს გაცილებით დიდი საშობაო არდადეგები მიეცათ.**

**ამერიკელის უკანასკნელი წამოწყება WTA-ს სტემფორდსა და ფლორიდაში მდებარე ოფისების ერთ შტაბბინად გაერთიანებაა: „ამის შემდეგ პოსტს მშვიდი გულით გადავულოცავ ჩემს მემკვიდრეს. დარწმუნებული ვარ, მომავალში ქალთა ჩოგბურთს კიდევ უფრო დიდი წარმატებები ელის".**

**ავთანდილ სვანიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

CART

## მესამე ეტაპი. პენსილვანიის (აშშ) დიდი პრიზი

# კარტს ახალი გმირი გაუჩნდა

**ამერიკული** ფორმულის — „კარტის" წლევანდელი ჩემპიონატის დებიუტანტი სკოტ დიქსონი ყველაზე ახალგაზრდაა მათ შორის, ვისაც ამ პოპულარული სერიის ეტაპი მოუგია. ახალზელანდიელი პილოტი კვირას პენსილვანიის შტატის ქალაქ ნაზარეთის ტრეკზე ტრიუმფისას 20 წლის, ცხრა თვისა და 14 დღის იყო. ძველი მიღწევა ამერიკელ გრეგ მურს ეკუთვნოდა — ოთხი წლის წინ მილუოკიში მან 22 წლისამ გაიმარჯვა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ახალმა რეკორდსმენმა რბოლა 25-ბოლიდიანი ქარავნის ბოლოში, 23-ე პოზიციიდან დაიწყო. უარესი ადგილიდან ფინიშთან პირველობა მხოლოდ მაიკ მოსლიმ მოახერხა. ესეც მილუოკის დიდი პრიზის გათამაშებისას მოხდა 1981 წელს — მოსლი სტარტზე 25-ე იყო.

„ნაზარეთი-225" წლევანდელ კალენდარში მეოთხე ეტაპად ითვლება, ფაქტობრიად კი მესამეა, რადგან 29 აპრილს ტეხასის ქალაქ ფორტ უორტის „ოვალზე" დაგეგმილი 600-მილიანი მარათონი აუტანელი სიცხისა და ორი მძიმე ავარიის გამო საერთოდ არ შედგა. ამჯერად ყველაფერი რიგზე იყო. ნაზარეთშიც ოვალია, თუმცა ერთ ადგილას ოდნავ გამრუდებული იმგვარად, რომ მეხუთე მოსახვევი გამოდის. არც ისე გრძელი, ერთმილიანი წრე პილოტებს 225-ჯერ უნდა დაეძლიათ, რაც 342 კმ-ს შეადგენს.

კვალიფიკაცია კიდევ ერთმა ახალბედამ, ფორმულა 3000-ის შარშანდელმა ჩემპიონმა ბრუნო ჟუნკეირამ მოიგო, მაგრამ რბოლაში სულ რამდენიმე წამს ილიდერა. ბრაზილიელს პირველივე მეტრებზე შვედმა კენი ბრაკმა გაასწრო. იქვე ბრაიან ჰერტას „რეინარდი" ტრასას გადასცდა და კედელს ოდნავ შეეხო. ტრასაზე უსაფრთხოების მანქანა გამოჩნდა და ათი წრე პელოტონს წინ უძღოდა. რესტარტისთანავე ჟუნკეირას კიდევ ერთმა — ორიოლ სერვიამ გაასწრო იოლად.

.75-ე წრეზე მექსიკელ მიშელ ჟურდენს თავისი „ლოლა" ოდნავ მოუსრიალდა ბალახში, რამაც ტრასაზე პეისკარის მორიგი სტუმრობა გამოიწვია. ამით თითქმის ყველამ ერთდროულად ისარგებლა და გამწკრივებულები ეწვივნენ ბოქსებს საწვავ-საბურავისთვის. ბრაკმა და სერვიამ ლიდერობა შეინარჩუნეს, დიქსონი კი უკვე მე-13 გახდა. პეისკარის შემდეგი ვიზიტის მიზეზი 120-ე წრეზე შარშანდელი ჩემპიონის ჟილ დე ფერანისა და ალექს ტალიანის შეჯახება გახდა. ამის გამო თითქმის 25-წრიან შეყოვნებას ლიდერთა ჯგუფში რადიკალური ცვლილებები მოჰყვა. რბოლას სათავეში ტონი კანაანი ჩაუდგა, მას უკან მისდევდნენ შინჯი ნაკანო, პოლ ტრეისი და დიქსონი. მალე ეს უკანასკნელი ტრეისის გასწრებით უკვე სამეულში აღმოჩნდა. ახალზელანდიელმა შუა დისტანციაზე ჩაიმატა საწვავი და ახლა მთავარი ის იყო, ბოლომდე ეყოფოდა თუ არა. ფინიშამდე ორმოცი წრით ადრე ორმა ლიდერმაც მიაკითხა ბოქსებს, რის შემდეგაც ბურთი და მოედანი დიქსონს დარჩა. ბრაკის გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, მას ბოლომდე არ დაუთმია ლიდერობა და წლეულს პირველი ქულებიც მოიპოვა.

ამერიკული სერიის ორგზის ჩემპიონი მაიკლ ანდრეტი ნაზარეთში 273-ედ გამოვიდა სტარტზე, რითაც რეკორდსმენ ელ ანზერს დაეწია. ორასზე მეტ რბოლაში მიუღიათ მონაწილეობა აგრეთვე ბობი რეიჰალს (265) და მაიკლის მამას მარიო ანდრეტის (209).

**გია ახალაძე**

### რბოლის შედეგები
### 225 წრე — 342 კმ

1. სკოტ დიქსონი (ახალი ზელანდია, რეინარდ-ტოიოტა) 1 სთ; 51.12,419; 2. კენი ბრაკი (შვედეთი, ლოლა-ფორდი) ჩამორჩა 0,366; 3. პოლ ტრეისი (კანადა, რეინარდ-ჰონდა) 1,344; 4. ჯიმი ვასერი (აშშ, რეინარდ-ტოიოტა) 1,744; 5. კრისტიან ფიტიპალდი (ბრაზილია, ლოლა-ტოიოტა) 4,225; 6. მაიკლ ანდრეტი (აშშ, რეინარდ-ჰონდა) 6,401; 7. ბრუნო ჟუნკეირა (ბრაზილია, ლოლა-ტოიოტა) 9,196; 8. დარიო ფრანკიტი (შოტლანდია, რეინარდ-ჰონდა) 9,292; 9. ორიოლ სერვია (ესპანეთი, ლოლა-ფორდი) 12,321; 10. კრისტიანო და მატა (ბრაზილია, ლოლა-ტოიოტა) 12,557; 11. ჰელიო კასტრონევეში (ბრაზილია, რეინარდ-ჰონდა) 13,379; 12. რობერტო მორენო (ბრაზილია, რეინარდ-ტოიოტა) 14,207

### საერთო ჩათვლა

1. კრისტიანო და მატა 40 ქულა; 2. პოლ ტრეისი 40; 3. ჟილ დე ფერანი (ბრაზილია, რეინარდ-ჰონდა) 30; 4. ჯიმი ვასერი 30; 5. ჰელიო კასტრონევეში 29; 6. კენი ბრაკი 29; 7. სკოტ დიქსონი 20; 8. მაიკლ ანდრეტი 20; 9. დარიო ფრანკიტი 17; 10. ტონი კანაანი (ბრაზილია, რეინარდ-ჰონდა) 12.



ეტაპის გამარჯვებული სკოტ დიქსონი (მარცხნივ) და მეორე პრიზიორი კენ ბრაკენი პოდიუმზე შამპანურით წუწაობენ


1868 წლიდან: "მიხეილის" საქალაქო საავადმყოფო

1924 წლიდან: რესპუბლიკური საავადმყოფო პლეხანოვზე

1973 წლიდან: რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო ვაჟა-ფშაველაზე

2000 წლიდან: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიკოს ნოდარ ყიფშიძის სახელობის

ცენტრალური კლინიკა



მისამართი

380109. ვაჟა-ფშაველას 29

ტელეფონები

კანცელარია: 39 23 89

ცნობათა ბიურო: 39 22 89

მიმღები განყოფილება: 39 26 32

საუკუნოვანი გამოცდილება

უახლესი ტექნოლოგიები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზუსტად ოცი წელიწადი
გავიდა იმ დღიდან,
როცა თბილისის „დინამომ“
ითამაშა თავისი მრთადმრთი
მვროპული ფინალი...
1981 წლის 13 მაისის დარი
თარიღი ბევრი არ არის
გასული საუკუნის არათუ სპორტის,
არამედ მთლიანად ქვეყნის ისტორიაში...
იგონებს ოცი წლის წინანდელი
თბილისის „დინამო“.
უკეთესად ვერც მოიგონებს ვინმე!
ფასი მხოლოდ
1 ლარი




იყიდება



სამოთახიანი სუფთა ბინა 2 (9), საერთო ფართი 103 კვ. მ.
აბაზანა–ტუალეტი რემონტით, ბ/აირით, ბარნოვის ქ.
№71 II სად. შესასვლელი კეკელიძის ქუჩიდანაც.
ტელ:
22-75-07, 69-52-58

ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი
- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კვებისა და ფიზიკური რეჟიმის კორექცია
(აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)
მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის
განსაზღვრა უფასო კონსულტაციით
თბილისი. რესპუბლიკური საავადმყოფო. I სართული
ტელეფონი: 38-67-56; 8 99 107 109



# ოქროს ქაცვი ჩემპიონთა სამიზნეა

**ეს ყველაფერი** კარგი — „ოქროს ლიგა“, „იააფ-ის გრან პრი“ და „გრან პრი 2“ მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ (იააფ) მოიგონა და საპლანეტო მასშტაბის უმაღლეს ტურნირებად დაადგინა, მაგრამ არის კიდევ ლოკალური ტურნირების ერთი სერია, რომელიც, ზომიერად ვიტყვით, პრესტიჟითა და პოპულარობით ზემორე ტურნირებს ცოტათი ჩამოუვარდება. მას „ოქროს ქაცვის სერია“ ჰქვია და ძირითადად ამერიკული წარმონაქმნია, რადგან აშშ-ის მძლეოსნობის ფედერაცია ატარებს უფრო თავისი მოქალაქეებისთვის. მცირე საერთაშორისო ელფერს სერიას ახლმახლო ქვეყნებიდან ჩამოსულები (ძირითადად ყარიბელები) სძენენ და ამ არცთუ მსოფლიოს მასშტაბების მიუხედავად, „ოქროს ქაცვი“ უპოპულარულესი ტურნირების ერთობლიობაა, რადგან ვინ არ წავა იქ, სადაც ირბენენ მარიონ ჯონსი, ანჯელო ტეილორი, ანტონიო პეტიგრიუ, ჯერომ იანგი ან კიდევ ჭოკით ნიკ ჰაისონგი იხტუნავებს. ესენი სულ ოლიმპიური ჩემპიონები არიან და დღეს „ოქროს ქაცვის“ პირველ ეტაპზე პრინსტონის უნივერსიტეტის სამძლეოსნო სარბიელს აითვისებენ.

ჯონსი 100 მეტრზე ირბენს და ამით ფაქტობრივად 2001 წელს დებიუტი ექნება. პრინსტონში სოლიდური მეტოქეების გასწრება მოუწევს, რადგან მის გვერდით იქნებიან ლატაშა ჯენკინსი, სავათედა ფაინსი და მერლინ ფრეზერი. პირველმა ლისაბონში მსოფლიოს ჭერქვეშა ჩემპიონატზე 200 მეტრში ვერცხლის მედალი აიღო. მეორე ბაჰამელია და სიდნეის ოლიმპიადაზე 4x100 მეტრიანი ესტაფეტის მომგებთაგანი გახლავთ, ხოლო ფრეზერი სხვა სამ იამაიკელთან ერთად იმავე ოლიმპიადაზე, იმავე დისციპლინაში მეორე ადგილზე გავიდა.

უაღრესად დაძაბული იქნება ვაჟთა 400-მეტრიანი გარბენი, სადაც არ ირბენს მაიკლ ჯონსონი (თავისივე განცხადების საფუძველზე), მაგრამ სიდნეის სამი ოლიმპიური ჩემპიონი სწორედ აქ დაიწყვეტს ნერვებს და კუნთებს. ტეილორმა სიდნეიში 400 მეტრზე თარჯრბენი მოიგო (ესაა მისი მთავარი სპეციალობა), მერე 4x400 მეტრიანი ესტაფეტა ირბინა და დუბლი გამოუვიდა. ოლიმპიადის შემდგომ ტეილორმა „იააფ-ის გრან პრიზეც“ (რიო დე ჟანეიროში) თარჯრბენი მოიგო, ხოლო 400 მეტრზე მაღალი შედეგი უჩვენა. იანგმა და პეტიგრიუმ სიდნეის ოქროები ესტაფეტისას დაიმსახურეს. აღწერილი სამეულიდან ფავორიტის გამორჩევა ძნელი საქმეა, როგორც იმის დადგენა, თუ ჭოკით ხტომას ვინ მოიგებს. აქ თითქოს ნიკ ჰაისონგია ფავორიტი, მაგრამ ოლიმპიური ჩემპიონის მთავარი მეტოქე სიდნეიდან ვერცხლით წასული ლოურენს ჯონსონი იქნება, რომელმაც ლისაბონში მსოფლიოს ჭერქვეშა პირველობა მოიგო და ამბობენ, რომ წლეულს მსოფლიოს მეჭოკეთაგან ყველაზე მაგარ ფორმაშია.

ვაჟთა 100 მეტრზე გამოსარჩევი ბევრი არავინ ირბენს. ჯეი ჯეი ჯონსონს ასახელებენ, რომელიც უტიტულოა, მაგრამ ცოტა ხნის წინ, „ტეხასის ესტაფეტებზე“ 10,10 წამი უჩვენებია, რაც ფრიად პერსპექტიული შედეგია, ხოლო „ოქროს ქაცვის სერიის“ სრული განრიგი შემდეგია: 12 მაისი — პრინსტონი; 3 ივნისი — პორტლენდი, ორეგონის შტატი; 9 ივნისი — პალო ალტო, კალიფორნია, ამერიკის ღია პირველობა; 21-24 ივნისი — იუჯინი, ორეგონის შტატი, ამერიკის ჩემპიონატი.

**დავით ბულუა**



ანჯელო ტეილორმა პროფილი იცვალა




როლანდ ერაძე

# ერაძე უცხო ერშიც პირველია

**სასიხარულო** ამბავი შევიტყვეთ შორეული ისლანდიიდან. როგორც რეიკიავიკში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულე ზურაბ ფარქოსაძემ გვაცნობა, ამ დღეებში დასრულებულა ხელბურთელთა იქაური ჩემპიონატი. სეზონის საუკეთესო მოთამაშედ საქართველოს ნაკრების მეკარე როლანდ ერაძე დაუსახელებიათ.

წლების მანძილზე ჩვენი ქვეყნის საუკეთესო გუნდის, „სტუ-შევარდენის“ კარის მცველი პირველი სეზონია, რაც ისლანდიის ლიგაში ასპარეზობს და საამაყოა, რომ საყოველთაო პატივისცემა და აღიარება დაიმსახურა.

როლანდს ამ დღეებში რეიკიავიკში შევეხმიანებით და მის ისლანდიურ ყოფა-ცხოვრებაზე დაწვრილებით მერე გიამბობთ.



# გაისტუმრეთ? ითამაშეთ!

**ქართულ** ფრენბურთს საერთაშორისო სარბიელზე პრობლემა ჰქონდა. ორიოდე ათასი დოლარის დავალიანება ჩვენს გუნდებსა და ნაკრებებს საერთაშორისო შეჯიბრებებში გამოსვლას უკრძალავდა. როგორც გუშინ საქართველოს ფრენბურთის ფედერაციიდან გვაცნობეს, დავალიანება დაფარულია და ლუქსემბურგიდან (სადაც ფრენბურთის საერთაშორისო კონფედერაციის ოფისი მდებარეობს) მოსალოცი ფაქსი მოვიდა, რომელშიც წერია, რომ დავალიანების დაფარვის შემდეგ ქართველთათვის ყველა კარი ღიაა, მათ ნებისმიერ ტურნირსა და ჩემპიონატში შეუძლიათ თამაში.

სპორტსმენთა
ფსიქოლოგიური მომზადება
სხვადასხვა დონის
ასპარეზობებისთვის,
აგრეთვე სტრესების,
დისკომფორტის, შფოთვის,
კომპლექსების, დეპრესიის,
შიშების მოხსნა,
ურთიერთობების
პრობლემების მოგვარება.
მიღება წინასწარ ჩაწერით —
29-26-84.
კონსულტანტი:
ფსიქოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი,
დოცენტი ნატა
გელოვანი
(მაღალი რანგის
სპორტსმენებთან მუშაობის
მრავალწლიანი
გამოცდილებით)



# ვერ მოხერხდა

ეს ქერა მზეთუნახავი, კორა ბრინკმანი წელიწადია მეფორმულე რალფ შუმახერის ცოლია, უკვე ფეხმძიმედაა და მალე შვილიც ეყოლება. ტყეში გადაღებულმა ფოტოებმა შარშანვე მოიარა მსოფლიო ჟურნალები და კორას შიშველ მოდელთა შორის სახელიც დაუგდო. მაგრამ შემდეგ კორა რალფს შეხვედრია, დაოჯახებულა და მის თამამ ფოტოს დღესაც ხედავთ — ქალს ამ ფოტოების ნეგატივების და გამოქვეყნების უფლების შესყიდვაც მოუსურვებია, მაგრამ ამაოდ. გუშინ ფოტოები ბულვარულმა „ბილდმა" დაბეჭდა, მალე კი ალბომ „ეროტიკულ მოძრაობაში" გამოქვეყნდება. რალფს ადრეც უცდია ფოტოების შესყიდვა, ახლა კი უთქვამს, რა ვქნა, ხელოვნების ნიმუშს წინ ვერ დავუდექიო. კორას სხეულზე მიკრული ფოტო კი „ბილდის" ნახელავია, აქაოდა რალფიც აქაა თავის ბოლიდითო.

# პატაიას გასაღები

ტაილანდის სამოთხე-კურორტ პატაიაში ჩასულა ერიკ კანტონა, რომლის პროფესიასა და კაცობაზეც აქ არ შევჩერდებით და ქალაქის სიმბოლური გასაღებიც მიუღია. კანტონა ჩამოჰყოლია საფრანგეთის პლაჟის ფეხბურთის გუნდს, რომელსაც კაპიტნობს და რომელიც ტაილანდის ნაკრებს ეთამაშება ბანგკოკში 12 მაისს.



REUTERS პატაიია




REUTERS ინდიანაპოლისიდან

# ავარია ვარჯიშზე

აი, მორიგი ავარია. ინდიანაპოლისი და ინდი კარი. მრბოლი კეისი მერსი ჯებირს შეასკდა. სამწუხაროდ ისიც არის, რომ ავარია ვარჯიშისას მოხდა. პილოტი საავადმყოფოშიღა მოიყვანეს გონს. აქვე უნდა ითქვას, რომ კეისი მერსი „ინდი 500"-ის სამგზის ჩემპიონ რიკ მერსის ძმიშვილია.



REUTERS ლოს ანჯელესიდან

# დანლივი დაითხოვეს

ვარსკვლავებით გამოჭედილმა, ოთხმოცდაათ მილიონ დოლარად შეფასებულმა „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსმა" ნბა-ს პლეი ოფის პირველსავე რაუნდში დატოვა გათამაშება. გუნდისგან ბევრს ელოდნენ, მთელი ამ ამბის შედეგი კი ის არის, რომ მწვრთნელი მაიკ დანლივი უმუშევარი დარჩა. დანილოვი ოთხ წელიწადს ედგა სათავეში „პორტლენდს", 190 თამაში მოიგო და 106 წააგო. მისი გათავისუფლების მიზეზი კი ის იყო, რომ ჭირვეულმა ვარსკვლავებმა ერთმანეთთან საერთო ენა ვერ გამონახეს და ბოლო 25 თამაშიდან 17 წააგეს.

# ფორცა ბერლუსკონი!

საარჩევნო ციებ-ცხელებაში ჩართულა იტალიელი ტელემაგნატი და საფეხბურთო კლუბ „მილანის" პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონი. პრემიერ-მინისტრად ნამყოფი ბერლუსკონი მოწინააღმდეგე პარტიების მძაფრი კრიტიკის ფონზე აგრძელებს საარჩევნო კამპანიას. მისი მემარჯვენე-ცენტრისტული ბლოკის, „ფორცა იტალიას" ბედი 13 მაისს გაირკვევა, როცა იტალიელები საარჩევნო ყუთებთან მივლენ.



REUTERS ტარანტოდან

# ხრაშუნას რეკლამა

სულ ახლახანს რაინდად ნაკურთხი ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონი ნიჩბოსნობაში, სერ სტივ რედგრეივი ტრიკოში გამოწყობილა. განთქმული ინგლისელი ფეხბურთელი, „მატჩ ოფ ზე დეის" წამყვანი გარი ლინეკერიც ასევე გამოწყობილა ტრიკოში. ყველაფერი კი იმიტომ, რომ „უოლკერსის" ხრაშუნა კარტოფილს რეკლამა სჭირდება. 39 წლის სტივი და 40 წლის გარი გვარიანად გართობილან კლიპის გადაღებისას.




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge